

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2012. წინამდებარე თარგმანი გაკეთდა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების სატრასტო ფონდის მხარდაჭერით (www.coe.int/humanrightstrustfund). თარგმანი სასამართლოსთვის სავალდებულო ძალის მქონე არაა. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ დოკუმენტის ბოლოში მოცემული შენიშვნა საავტორო უფლებების შესახებ.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2012. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court. For further information see the full copyright indication at the end of this document.

© Conseil de l'Europe/Cour européenne des droits de l'homme, 2012. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour. Pour plus de renseignements veuillez lire l'indication de copyright/droits d'auteur à la fin du présent document.

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო

დიდი პალატა

საქმე ტაქსკე ბელგიის წინააღმდეგ

(საჩივარი № 926/05)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2010 წლის 16 ნოემბერი

გადაწყვეტილება საბოლოოა, თუმცა შესაძლოა დაექვემდებაროს სარედაქციო
შესწორებას

საქმე ტაქსკე ბელგიის წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ, შემდეგი შემადგენლობით:

ჟან -პოლ კოსტა, *პრეზიდენტი*,
ქრისტოს როზაკისი,
ნიკოლას ბრატცა,
პიერ ლორენზენი,
ფრანსუაზ ტულკენსი,
ჟოსეფ კასადევალი,
ბოსჟან მ. ზუპანჩიჩი,
ნინა ვაჟიცი,
ანატოლი კოვლერი,
ელისაბედ ფურა,
სვერ ერიკ ჟებენსი,
იზაბელ ბერო-ლეფევრი,
პაივი ჰირველა,
ლუის ლოპეს გერა,
მირიანა ლაზაროვა ტრაიკოვსკა,
ნონა წოწორია,
ზდრავკა კალაიჯიევა, *მოსამართლეები*

და მაიკლ ობოილი, *სასამართლოს განმწესრიგებლის მოადგილე*,

განიხილა რა საქმე 2009 წლის 21 ოქტომბრის, 2009 წლის 26 მაისისა და 2010 წლის 6 ოქტომბრის დახურულ სხდომებზე,
გამოიტანა 2010 წლის 6 ოქტომბერს შემდეგი გადაწყვეტილება:

პროცედურა

1. საქმეს საფუძვლად დაედო საჩივარი (№926/05), რომელიც 2004 წლის 14 დეკემბერს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის („კონვენცია“) 34-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოში ბელგიის მოქალაქემ ბ-მა ტაქსკემ ბელგიის სამეფოს წინააღმდეგ შეიტანა.
2. მომჩივანს წარმოადგენდნენ ლეჟეში მოღვაწე იურისტები - ბ-ნი ლ.მისონი და ბ-ნი ჯ.პიერი. ბელგიის მთავრობას („მთავრობა“) წარმოადგენდნენ სახელმწიფო წარმომადგენლები - იუსტიციის ფედერალური დეპარტამენტის უფროსი მრჩეველი ბ-ნი მ.თისბერტი და ბ-ნი ჰოფმანსი.
3. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მის საქმეში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენში მტკიცებულებების ნაკლებობისა და მოწმეების დაკითხვის შეუძლებლობის ან ანონიმური მოწმეების დაკითხვის გამო დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილი და მე-3 ნაწილის (დ) პარაგრაფი.
4. საჩივარი განსახილველად გადაეცა სასამართლოს მეორე სექციას (სასამართლოს რეგლამენტის 52-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, შემდეგი შემადგენლობით: მოსამართლეები - ირენეუ კაბრალ ბარეტო, ფრანსუაზ ტულკენსი, ვლადიმერო ზაგრებელსკი, დანუტე იოჩიენი, დრაგოლუბ

- პოპოვიჩი, ანდრამ შაიო და ისილ კარაკასი, ასევე სალი დოლი - სექციის განმწესრიგებელი. 2009 წლის 13 იანვარს პალატამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც საჩივარი მე-6 მუხლის 1 ნაწილისა და მე-3 ნაწილის (დ) პარაგრაფის დარღვევასთან დაკავშირებით დასაშვებად სცნო.
5. 2009 წლის 8 აპრილის მთავრობის მოთხოვნის საფუძველზე, 2009 წლის 5 ივნისს, დიდი პალატის კოლეგიის გადაწყვეტილებით, კონვენციის 43-ე მუხლის თანახმად, საქმე დიდ პალატას გადაეცა.
 6. დიდი პალატის შემადგენლობა განისაზღვრა კონვენციის 27-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებისა და 24-ე წესის შესაბამისად.
 7. მომჩივანმა და ხელისუფლებამ წერილობითი მოსაზრებები წარმოადგინეს. ამას გარდა, შენიშვნები გაკეთდა მესამე მხარის მიერ - გაერთიანებული სამეფოდან, ირლანდიასა და საფრანგეთის მთავრობებიდან, რომელთაც პრეზიდენტმა მიანიჭა უფლება, კონვენციის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 44-ე წესის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად ჩართულიყვნენ წერილობით პროცედურაში.
 8. ზეპირი მოსმენა შედგა 2009 წლის 21 ოქტომბერს სტრასბურგში, ადამიანის უფლებათა შენობაში (59-ე წესი, მე-3 პარაგრაფი).
- სასამართლოს წინაშე წარსდგნენ:

(ა) მთავრობის მხრიდან

ბ-ნი ა.ჰოფმანსი,
ბ-ნი კ.ლემენსი,

სახელმწიფო წარმომადგენელი
მრჩეველი

(ბ) მომჩივანის მხრიდან

ბ-ნი ლ.მისონი
ბ-ნი ჟ.პიერი
ბ-ნი რ.ტაქსკე

იურისტი
მომჩივანი

სასამართლომ მოისმინა ბატონების - მისონის, პიერისა და ლემენსის გამოსვლები და სასამართლოს წევრების მიერ დასმულ კითხვებზე პასუხები.

1.საქმის ფაქტობრივი გარემოებები

9. მომჩივანი დაიბადა 1957 წელს და ცხოვრობს ანგლერში.
10. 2003 წლის 17 ოქტომბერს, მომჩივანი სხვა შვიდ თანაბრალდებულთან ერთად წარსდგა ლეჟეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინაშე სახელმწიფო მინისტრის ა.ს.-ის მკვლელობასა და მისი თანამშრომლის მ.-ჰ.ჯ.-ს მკვლელობის მცდელობის ბრალდებით. საბრალდებო დასკვნის თანახმად, მათ ბრალი ედებოდათ ლეჟეში, 1991 წლის 18 ივლისს ზემოხსენებული დანაშაულებების ჩადენაში შემდეგი ფორმით:

„როგორც უშუალო ამსრულებელი ან თანამონაწილე,

- დანაშაულთა ჩადენის ან პირდაპირი თანამონაწილეობის გზით,
- ან, ისეთი სახის დახმარების გაწევით, რომლის გარეშეც დანაშაულის ჩადენა ვერ მოხდებოდა,
- საჩუქრების, დაპირებების, მუქარის, ძალაუფლების, შანტაჟისა და სხვადასხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, რამაც აიძულა სხვა პირი დანაშაული ჩადენა,
- საჯარო შეკრების ადგილებში გამოსვლებით, წერითი ან ბეჭდური საშუალებების, სურათებისა და ემბლემების გავრცელებითა და გაყიდვით, გასაყიდად გამოტანითა და საჯარო ადგილებში გამოფენით, რამაც უშუალოდ აიძულა სხვა პირი დანაშაული ჩადენა,

1. ჩაიდინა წინასწარი განზრახვით [ა.ს.-ის] მკვლელობა, კანონის მიხედვით კვალიფიცირდება როგორც განზრახ მკვლელობა (*assassinat*);
2. ჩაიდინა წინასწარი განზრახვით [მ.-ჰ.ჯ.-ს] მკვლელობის მცდელობა, რომელიც იყო დანაშაულის ჩადენისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი, მაგრამ არ შედგა დანაშაულის ჩამდენისგან დამოუკიდებელი გარემოებების გამო, დანაშაული კანონით კვალიფიცირდება როგორც განზრახ მკვლელობის მცდელობა.“

11. დაცვითი სიტყვა მხოლოდ ერთმა თანაბრალდებულმა წარმოადგინა. მომჩივანის მტკიცებით, მისთვის შეუძლებელი იყო ამის გაკეთება, რადგანაც მან არ იცოდა თუ რა მტკიცებულებები არსებობდა მის წინააღმდეგ.
12. 2003 წლის 12 აგვისტოს საბრალდებო დასკვნის თანახმად, 1996 წლის ივნისში, პიროვნებამ, რომელსაც მომჩივანი ანონიმურ მოწმედ მოიხსენიებს, გამოძიებას გარკვეული ინფორმაცია გადასცა. 1996 წლის 3 სექტემბრის ჩანაწერის თანახმად, ინფორმატორმა ანონიმად დარჩენა არჩია, რასაც საფუძვლად დაედო „მის მირ მოწოდებული ინფორმაციის მნიშვნელობიდან გამომდინარე შიში, მის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით და მედიაში ატეხილი ხმაური, რაც ყოველთვის თან სდევდა ს. საქმეს“. ეს პიროვნება გამომძიებელ მოსამართლეს არ დაუკითხავს. მან გამომძიებლებს მიაწოდა ინფორმაცია მიღებულისანდო წყაროსგან, რომლის პიროვნების გამხელაზე უარი განაცხადა. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიმდინარეობისას, ბრალდებულების მიერ გამომძიებლების მისამართით დაისვა რამოდენიმე შეკითხვა ინფორმატორის პიროვნებასთან დაკავშირებით. გამომძიებლებმა განაცხადეს, რომ მათი ინფორმატორი არ გახლდათ ბრალდებულთაგან ერთ-ერთი და რომ ის სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის უშუალო მოწმე არ ყოფილა. 15 პუნქტისგან შემდგარი ინფორმაციის თანახმად, ა.ს.-ის მკვლელობა სხვა წამყვან

პოლიტიკოსთან ერთად, მომჩივანის ჩათვლით, ექვსმა პიროვნებამ დაგეგმა. მომჩივანის საბრალდებო დასკვნიდან ერთ-ერთი ნაწყვეტის თანახმად:

„ვ. დერ ბ. და ტაქსკე დაჟინებით ითხოვდნენ, რომ ს.-ს მკვლელობა განხორციელებულიყო სასწრაფოდ, 91 დღესასწაულებამდე, ვინაიდან ის საზაფხულო შვებულების შემდეგ მნიშვნელოვანი ინფორმაციის გახმაურებას აპირებდა.“

13. სასამართლოს მსვლელობისას გაკეთებული მრავალი შუამდგომლობის საფუძველზე, ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ ცამეტი შუალედური გადაწყვეტილება გამოიტანა:
- (1) 2003 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში აღინიშნა, რომ ზოგიერთი ბრალდებულის არყოფნის პირობებში, მათ განაჩენს დაუსწრებლად გამოუტანდნენ;
 - (2) 2003 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შუამდგომლობა მოწმეთა დაპირისპირების შესახებ ბათილად იქნა ცნობილი;
 - (3) 2003 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება ერთ-ერთი თანაბრალდებულის არყოფნის მიუხედავად მოწმეთა დაკითხვის შესახებ;
 - (4) 2003 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება მოწმის დახურულ სასამართლო სხდომაზე დაკითხვის შესახებ;
 - (5) 2003 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილება თანაბრალდებულის დაუსწრებლად გასამართლების ბრძანებულების გადავადების თაობაზე;
 - (6) 2003 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება ბრალდების მხარის მიერ დაყენებულ შუამდგომლობაზე - დახურულ სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვის - უარის შესახებ;
 - (7) 2003 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილება ცალკეული მოწმეების დახურულ სასამართლო სხდომაზე დაკითხვის შესახებ;
 - (8) 2003 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება თანაბრალდებულის შუამდგომლობის საფუძველზე ცალკეული მოწმეების დაკითხვის შესახებ;
 - (9) 2003 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება მოწმეთა დაპირისპირების ამსახველი ჩანაწერების გამოყენების თაობაზე;
 - (10) 2003 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება სამოქალაქო მხარეების შუამდგომლობასთან დაკავშირებით, რომელიც არგამოცხადებული მოწმეების დაკითხვასა და სხვა მოწმეების ხელახალ დაკითხვას ეხებოდა;
 - (11) 2003 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება თანაბრალდებულის შუამდგომლობით ანონიმური მოწმეების დაკითხვასა ან ხელახალ დაკითხვასთან დაკავშირებით;
 - (12) 2003 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება მომჩივანის შუამდგომლობით არგამოცხადებული მოწმეების დაკითხვასა და სხვა მოწმეების ხელახალ დაკითხვასთან დაკავშირებით.
 - (13) 2003 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება მომჩივანის შუამდგომლობაზე ანონიმური მოწმეების დაკითხვასა ან ხელახალ დაკითხვასთან დაკავშირებით.
14. ზემოაღნიშნულ ბოლო გადაწყვეტილებაში, რომელიც ეხებოდა შუამდგომლობას იმის თაობაზე, რომ გამომძიებელ მოსამართლეს შეესწავლა ან ხელახლა მოესმინა იმ პიროვნების ჩვენება, რომელმაც ჟანდარმერიის ორ გადამდგარ ოფიცერს ინფორმაცია ანონიმურად მიაწოდა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ დაადგინა:

„პოლიციის წარმომადგენლების მიერ ანონიმურად მოპოვებულ ამ ინფორმაციას მტკიცებულებითი ძალა არ გააჩნდა. ამრიგად, მოცემულ საქმეში, ამ ინფორმაციას შეეძლო გამოძიებისთვის ახალი იმპულსი ან მიმართულება შეეძინა, ხოლო კანონიერი მტკიცებულებები უნდა მოპოვებულიყო დამოუკიდებლად.

სასამართლოს მიერ მოწმეების დაკითხვისას [ქანდარმერიის ორი გადამდგარი ოფიცერი] მათ განაცხადეს, რომ მათი ინფორმატორი არ იყო ბრალდებულთაგან ერთ-ერთი და რომ ინფორმატორი მის მიერ აღწერილი ქმედებების უშუალო მოწმე თავად არ ყოფილა; მის მიერ განხორციელდა მხოლოდ ინფორმაციის გადმოცემა, რომელიც მან მიიღო პიროვნებისგან, რომლის ვინაობის გამხელაზე უარი განაცხადა.

მათ ასევე აღნიშნეს, რომ მათი ინფორმატორის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ის ნაწილი, რომელიც რიჩარდ ტაქსკეს ადვოკატის მასალებში ხსენებულ სხვა პოლიტიკოსებს ეხებოდა არ დადასტურდა სხვა სახის მტკიცებულებებით, მიუხედავად მათი გამოძიებისა.

გამომძიებლების აზრით, ანონიმური ინფორმატორის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ოფიციალურად ჩაწერის პროცესმა თავისთავად არ დაარღვია ინფორმატორის მიერ დასახელებული პიროვნებების დაცვის უფლებები. ეს ნაბიჯი, მოწოდებული იყო სიცხადე შეეტანა იმ ინფორმაციის ანალიზისა და შემოწმების მიზნით, რომელიც გამოძიებისთვის შესაძლოა გამხდარიყო საინტერესო და ფაქტების გამომჟღავნებისთვის შეეწყო ხელი. ეს ინფორმაცია, დამოუკიდებლად ნებისმიერი სხვა ობიექტური მონაცემებისა, რომელთაც შემდგომში მისი სისწორის დადასტურება შეეძლო, არ წარმოადგენდა იმ ქმედებების მტკიცებულებას, რომელიც ინფორმატორის მიერ დასახელებულმა პიროვნებებმა სავარაუდოდ ჩაიდინეს.

და ბოლოს, შეუძლებელია ისაუბრო ხელახალ დაკითხვაზე, ვინაიდან არც საქმის მასალებიდან და არც ზეპირი სხდომებიდან არ გამომდინარეობს, რომ [ამ პიროვნებამ, რომელიც მოიხსენიება ანონიმურ მოწმედ] გამომძიებელ მოსამართლეს ჩვენება ფიცის ქვეშ მისცა.

რაც შეეხება ამ პიროვნების დაკითხვის შუამდგომლობას, პირველი, სასამართლო მისი პიროვნების შესახებ ინფორმაციას არ ფლობს და მეორე, მიუხედავად ამ საკითხზე საგამომძიებო ორგანოების მოსაზრებებისა, მისი დაკითხვა სიმართლის დადგენას არ შეუწყობს ხელს და უსარგებლოდ გააჭიანურებს პროცესს, კონკრეტული შედეგების მიღწევის იმედის გარეშე.“

15. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თავმჯდომარემ ნაფიც მსაჯულებს 32 კითხვა დაუსვა. აქედან ოთხი კითხვა მომჩივანს ეხებოდა და შემდეგნაირად ჟღერდა:

„25- ე კითხვა - მთავარი ბრალდება

არის თუ არა სასამართლოში მყოფი ბრალდებული რიჩარდ ტაქსკე დამნაშავე,

როგორც მთავარი ამსრულებელი ან თანამონაწილე,

- უშუალოდ დანაშაულის ჩადენაში ან მის პირდაპირ ხელშეწყობაში,
- ან ნებისმიერი ქმედების მეშვეობით ისეთი სახის დახმარების გაწევაში, რომლის გარეშეც დანაშაული ვერ განხორციელდებოდა,
- ან საჩუქრების, დაპირებების, მუქარის, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების, დაგეგმვის ან სხვა ხერხის მეშვეობით სხვა პირის მიერ დანაშაულის ჩადენის პირდაპირ წაქეზებაში,
- ან საჯარო შეკრების ადგილებში გამოსვლებით, წერითი ან ბეჭდური საშუალებების, სურათებისა თუ სიმბოლოების გავრცელებითა ან გაყიდვით, გასაყიდად გამოტანითა თუ საჯარო ადგილებში გამოფენით, სხვა პირის მიერ დანაშაულის ჩადენის პირდაპირ წაქეზებაში,

1991 წლის 18 ივლისს ლეჩეში წინასწარი განზრახვით [ა.ს.-ის] მკვლელობაში?

26-ე კითხვა - დამამძიმებელი გარემოებები

იყო თუ არა წინა კითხვაში ხსენებული მკვლელობა წინასწარი განზრახვით ჩადენილი?

27-ე კითხვა - ძირითადი ბრალდება

არის თუ არა სასამართლოში მყოფი ბრალდებული რიჩარდ ტაქსკე დამნაშავე,

როგორც მთავარი ამსრულებელი ან თანამონაწილე,

- უშუალოდ დანაშაულის ჩადენაში ან მის პირდაპირ ხელშეწყობაში,
- ან ნებისმიერი ქმედების მეშვეობით ისეთი სახის დახმარების გაწევაში, რომლის გარეშეც დანაშაული ვერ განხორციელდებოდა,
- ან საჩუქრების, დაპირებების, მუქარის, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების, დაგეგმვის ან სხვა ხერხის მეშვეობით, სხვა პირის მიერ დანაშაულის ჩადენის პირდაპირ წაქეზებაში,
- ან საჯარო შეკრების ადგილებში გამოსვლებით, წერიტით ან ბეჭდური საშუალებების, სურათებისა თუ სიმბოლოების გავრცელებითა ან გაყიდვით, გასაყიდად გამოტანითა და საჯარო ადგილებში გამოფენით, სხვა პირის მიერ დანაშაულის ჩადენის პირდაპირ წაქეზებაში,

1991 წლის 18 ივლისს ლეჩეში წინასწარი განზრახვით [მ.-ჰ.ჯ.-ს] მკვლელობის მცდელობაში; მკვლელობის მცდელობის განზრახვა გამოიხატა მის ქმედებაში, რომელიც პირველი ნაბიჯი იყო გადადგმული დანაშაულის ჩადენისკენ, თუმცა ვერ განხორციელდა ან ვერ მიაღწია დასახულ მიზანს დანაშაულის ამსრულებლისგან დამოუკიდებელი გარემოებების გამო.

28-ე კითხვა - დამამძიმებელი გარემოებები

იყო თუ არა წინა კითხვაში ხსენებული მკვლელობის მცდელობა განზრახ ჩადენილი?“

16. ნაფიცმა მსაჯულებმა ოთხივე კითხვას დადებითი პასუხი გასცეს.
17. 2004 წლის 7 იანვარს ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ მომჩივანს 20-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა.
18. მომჩივანმა ნაფიც მსაჯულთა მიერ 2004 წლის 7 იანვარს გამოტანილი განაჩენი და ყველა შუალედური გადაწყვეტილება გაასაჩივრა.
19. 2004 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებით, საკასაციო სასამართლომ საჩივარი არ დააკმაყოფილა. კერძოდ, მან დაადგინა,
 - თანაბრადებულის დაგვიანებულმა გამოჩენამ არ დაარღვია აპელანტების დაცვის უფლებები, ვინაიდან მათ ჰქონდათ შესაძლებლობა გაებათილებინათ წინასწარი გამოძიების დროს ბრალდებულის მიერ მიცემული ორივე ჩვენება, რომელიც სასამართლოს გადმოსცეს იმ პირებმა, ვისაც ეს ჩვენებები მისცეს და ასევე გაებათილებინათ უშუალოდ ნაფიც მსაჯულთა წინაშე ბრალდებულის მიერ გაკეთებული განცხადებები;
 - ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ გამოიტანა სწორი გადაწყვეტილება მოწმეების დახურულ კარს მიღმა დაკითხვასთან დაკავშირებით, ვინაიდან საჯარო დაკითხვისას მათი აზრის თავისუფალი გამოხატვა შესაძლოა შეზღუდულიყო, რაც ხელისშემშლელი გახდებოდა მართლმსაჯულების განხორციელებისათვის;
 - ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უარმა, ეჩვენებინა ვიდეო ჩანაწერი დაპირისპირებისა რამოდენიმე ბრალდებულსა და ცალკეულ ტუნისელ

- მოქალაქეთა შორის, რომელთაც ასევე წარუდგინეს ბრალდებები, იმ საფუძველით, რომ ეს ნაბიჯი სავარაუდოდ გააჭიანურებდა სასამართლო პროცესს, არ დაარღვია დაცვის უფლებები ან თუნდაც ის პრინციპი, რომ სასამართლო სხდომები უნდა იყოს ზეპირი, ვინაიდან უარი იყო დაფუძნებული იმ ფაქტზე, რომ მათ, ვინც მიიღეს მონაწილეობა დაპირისპირებაში, წარსდგნენ სასამართლოს წინაშე და პირდაპირ დაუპირისპირდნენ ბრალდებულებს;
- სასამართლოს გადაწყვეტილებამ, რომ სასამართლო განხილვა უნდა გაგრძელდეს, რადგანაც სასამართლოში ზოგიერთი (სათანადოდ გამოძახებული) მოწმის არგამოცხადება და შესაბამისად მათი დაკითხვის შეუძლებლობა სიმართლის დასადგენად აუცილებლობას არ წარმოადგენდა, ხოლო სხვა მოწმეების გამოცხადება ამაოდ გააჭიანურებდა სასამართლოს, რაც კონკრეტული შედეგების მიღწევის იმედს არ იძლეოდა, არ დაარღვია კონვენციის მე-6 მუხლი და ის პრინციპი, რომ სხდომები უნდა იყოს ზეპირი;
 - უდანაშაულობის პრეზუმფცია პირველ რიგში განაჩენის გამომტან მოსამართლეთა მიდგომას ეხება. შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც კი, როცა გამომძიებლების მიერ გაკეთებული კომენტარები და პრესაში გამოქვეყნებულ მასალები ზედმიწევნით არ იცავენ უდანაშაულობის პრეზუმფციას, არიან ღვარძლიანი, ან შეიცავენ სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს, ისინი ვერ გამოიწვევენ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების დარღვევას;
 - შეუძლებელია ნაფიც მსაჯულთა სავარაუდო გამოუცდელობის, დროის, რომელიც მათ დასჭირდათ მოსათათბირებლად ან გამოტანილი განაჩენის არასაკმარისი დასაბუთებულობის გამო დასკვნის გამოტანა, რომ მსაჯულებს არ შესწევდათ უნარი, მიუხედავად მედიის დიდი ყურადღებისა, მიუკერძოებელი სამართალწარმოება განეხორციელებინათ;
 - ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წევრების დანიშვნის პროცედურა და ის ფაქტი, რომ მათ გამოიტანეს გამამტყუნებელი განაჩენი სასამართლოსთან შეუთანხმებლად არ ნიშნავს იმას, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არ იყო დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილის მნიშვნელობით და რომ ბრალდებულის უდანაშაულობის პრეზუმფცია ამ სასამართლოში შეუძლებელია ყოფილიყო კანონიერად გაბათილებული;
 - კონვენციის არც მე-6 და არც მე-13 მუხლი არ მოიცავს გასაჩივრების უფლებას;
 - არც კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილები, არც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-3 ნაწილის (ბ) პარაგრაფი, არც კონსტიტუციის 149-ე მუხლი, მაშინაც კი თუ მას განვიხილავთ ზემოხსენებულ შეთანხმებებთან ერთობლიობაში, არ ავალდებულებს ნაფიც მსაჯულებს დაასაბუთონ თავიანთი პასუხები;
 - კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის (ბ) პარაგრაფთან დაკავშირებული გასაჩივრების საფუძველი (მის ადვოკატთან თავისუფალი მოთათბირების შეუძლებლობა, როგორც შედეგი მისი დაკავებისა სასამართლო პროცესის დაწყებამდე ერთი დღით ადრე) დაუშვებლად იქნა ცნობილი, რადგანაც

საქმის მასალებით არ დადასტურდა, რომ მომჩივანმა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინაშე დაცვისთვის სათანადო შესაძლებლობების არ-არსებობაზე იჩივლა;

- კონსტიტუციის მე-10 და მე-11 მუხლები, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლი და კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილი არ შეიცავენ მოთხოვნას, რომ გამამტყუნებელი განაჩენი იყოს დასაბუთებული, რომ უზრუნველყოფილი იყოს გასაჩივრების უფლება, ან რომ სასამართლო მხოლოდ პროფესიონალი მოსამართლეებისაგან შედგებოდეს; ნაფიცი მსაჯულების დისკრეციამ, რომელიც უფრო მეტიც, შეზღუდული იყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 351-ე, 352-ე, 364-ე და 364-ე *bis* მუხლებით, არ წარმოშვა თვითნებური განსხვავება კონვენციის მე-14 მუხლის მნიშვნელობით მათ შორის, ვინც ერთის მხრივ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინაშე წარსდგა და მეორეს მხრივ, სხვა სისხლის სამართლის სასამართლოების წინაშე.
20. რაც შეეხება გასაჩივრების საფუძველს, რომლის თანახმადაც აპელანტების განაჩენი დიდწილად ან ნაწილობრივ ანონიმი ინფორმატორების ჩვენებებს დაეფუძნა, საკასაციო სასამართლომ განაცხადა:

„იმდენად რამდენადაც მათ ეჭვი შეიტანეს იმაში, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს არ გააჩნდა ინფორმაცია იმ პიროვნების შესახებ, რომლის დაკითხვაც მოითხოვეს და შესაბამისად ეს შეუძლებელი გახდა, გასაჩივრების ეს საფუძველი მიმართულია მოსამართლის შეხედულების წინააღმდეგ (*obiter dictum*) და არის არარელევანტური.

შესაბამისად, გასაჩივრების ეს საფუძველი დაუშვებლად არის ცნობილი.

რაც შეეხება დანარჩენ არგუმენტებს, სისხლის სამართლის საქმეში ანონიმური წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის შემცველი ჩანაწერები არსებობა არ ნიშნავს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ, ბრალდების კანონიერებისა და დასაშვებობის მიზნით, უნდა უზრუნველყოს ინფორმატორის იდენტიფიცირება და დაკითვა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 189 *bis* და 315 *bis* მუხლებით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად. ასეთ შემთხვევებში, ზემოხსენებული დებულებების ფარგლებში პირველი ინსტანციის სასამართლოს შეუძლია გამომძიებელი მოსამართლის დანიშვნა, თუ ეს ნაბიჯი დაეხმარება სიმართლის დადგენაში.

სასამართლო გადაწყვეტილებებში აღნიშნულია ფაქტობრივი შეფასების საფუძველზე, რომლის შეცვლაც სასამართლოს არ ძალუძს, რომ მოწმეთა დაკითხვები ამაოდ გააჭიანურებდა სასამართლო პროცესს კონკრეტული შედეგების მიღწევის იმედის გარეშე.

სასამართლო გადაწყვეტილებებში ასევე აღნიშნულია, რომ ანონიმურად მოპოვებული ინფორმაცია არ შეესაბამებოდა ბრალდებულთ წინააღმდეგ კანონიერად და დამოუკიდებლად მიღებულ მტკიცებულებებს.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პასუხიდან გამომდინარეობს, რომ მათ სამართალწარმოების დროს მომჩივანის მტკიცებულებების გაბათილების უფლება სადავოდ არ გახადეს.

ამის გათვალისწინებით, აპელაციის ეს საფუძველები დასაშვები არ არის.

რაც შეეხება ბოლო არგუმენტს, კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის (დ) პარაგრაფი არ დარღვეულა მხოლოდ იმ ფაქტის გამო, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ

უსარგებლოდ ან შეუძლებლად მიიჩნია იმ ანონიმური ინფორმატორის ჯვარედინი დაკითხვა, რომლის ინფორმაციამაც ხელი შეუწყო გამოძიებას.

ამ კუთხით აპელაციის ამ საფუძვლებს სამართლებრივი დასაბუთება არ გააჩნია.“

21. 2006 წლის დასაწყისში, *Questions à la Une* რადიო პროგრამაში, მომჩივანის ერთ-ერთმა თანაბრალდებულმა, ს.ნ.-მ განაცხადა, რომ ის გახლდათ ანონიმი ინფორმატორი, რომ მოქმედებდა როგორც „შუამავალი“ სხვა თანაბრალდებულის დ.ს.-ს სახელით. იმავე პროგრამის მსვლელობისას, ანონიმი მოწმის ვინაობა დაადასტურა იუსტიციის მინისტრმა. ს.ნ.-მ განაცხადა, რომ მან მიიღო თანხა 3,000,000 ბელგიური ფრანკი (ბელგიური ფრანკი - 74,368.06 ევრო (EUR)) ბელგიის სახელმწიფოსგან როგორც „საშუამავლო“ საკომისიო თანხა. დ.ს.-მ კი სავარაუდოდ მიიღო 5,000,000, ბელგიური ფრანკი (123,946.76 EUR).

II. შესაბამისი შიდა კანონმდებლობა და პრაქტიკა

ა. მსაჯულთა ინსტიტუტი და ნაფიც მსაჯულთა სასამართლო

22. 1789 წლის საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ, მსაჯულები ფიგურირებდნენ 1791 წლის საფრანგეთის კონსტიტუციასა და 1808 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. იმ დროისთვის, ბელგია საფრანგეთის ტერიტორიის ნაწილს წარმოადგენდა. როდესაც ის გამოეყო საფრანგეთს და ჰოლანდიას შეუერთდა, მსაჯულების ინსტიტუტი გაუქმდა, თუმცა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოებმა არსებობა გააგრძელეს. მას მერე, რაც ბელგიამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, მსაჯულთა ინსტიტუტი 1831 წლის 7 თებერვლის კონსტიტუციით დაკანონდა; კერძოდ, 98-ე მუხლში ვკითხულობთ: ნაფიც მსაჯულთა სასამართლო იქმნება ყველა მნიშვნელოვანი დანაშაულისა და პოლიტიკური თუ მედია დანაშაულებისათვის.” კონსტიტუციის შემქმნელებისათვის ეს ინსტიტუტი ჭეშმარიტი დემოკრატიული მოთხოვნილებების ქვაკუთხედი გახდა. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განიხილებოდა როგორც პოლიტიკური დასტური ხალხის მიერ მოპოვებული თავისუფლებისა, ხალხის სუვერენიტეტის სიმბოლო. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 1831 წლის 19 ივლისის დეკრეტით დაფუძნდა; თავდაპირველად, წევრობა ფუნქციური ხასიათის იყო (*jury capacitaire*), ხოლო შემდგომ, 1869 წლიდან წევრობა საკუთრებას მიაბეს (*jury censitaire*). 1930 წლის 21 დეკემბერს მიღებული კანონის თანახმად, ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა გახდა უფრო დემოკრატიული, მასში წარმოდგენილი იყო ყველა სოციალური კლასი. ამის შედეგად, დღემდე არსებული ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი თორმეტი წევრისგან შედგება.

ბ. კონსტიტუცია

23. 1994 წლის 17 თებერვლის კონსტიტუციის 150-ე მუხლის თანახმად: „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო იქმნება ყველა მნიშვნელოვანი, პოლიტიკური თუ პრესასთან დაკავშირებული დანაშაულებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა,

რომლებიც მოტივირებულია რასიზმით ან ქსენოფობიით“ (ტექსტში შესწორება 1999 წლის 7 მაის არის შეტანილი).

24. გარდა ამისა, 149-ე მუხლში ნათქვამია: „ყველა გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს დასაბუთებას და უნდა გამოცხადდეს საქვეყნოდ.“

გ. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცედურა

1. იმ დროისთვის მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული გარანტიები

25. ბელგიის ნაფიც მსაჯულთა სამართალწარმოება ითვალისწინებს მთელ რიგ გარანტიებს, განსაკუთრებით ეს ეხება ბრალდებულთა უფლებების დაცვას.
26. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის თანახმად, მთავარი პროკურორის მიერ შედგენილი ბრალდება, რომელიც საფუძვლად დაედება საბრალდებო დასკვნას, უნდა ასახავდეს დანაშაულის ხასიათს და ნებისმიერ გარემოებებს, რომლებიც იმოქმედებენ სასჯელის გაზრდასა თუ შემცირებაზე. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 313-ე მუხლის თანახმად, მთავარმა პროკურორმა უნდა გაახმოვანოს ბრალდებო დასკვნა, ხოლო ბრალდებულმა ან მისმა ადვოკატმა, დაცვითი სიტყვა. 337-ე მუხლის საფუძველზე, ნაფიც მსაჯულთა წინაშე დასმული კითხვები უნდა გამომდინარეობდეს წარდგენილი ბრალდებიდან (რომელიც თავისთავად უნდა შეესაბამებოდეს გადაწყვეტილებას ბრალდებულის სასამართლოს წინაშე წარდგენის შესახებ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლი) და უნდა ესადაგებოდეს გარკვეულ ფორმალურ მოთხოვნებს; მაგალითად, იკრძალება რთული შეკითხვების დასმა, ან ისეთი შეკითხვების, რომელიც ეხება სამართლებრივ საკითხებს.
27. ზეპირი სხდომების დამთავრებისთანავე, მსაჯულთა წინაშე ისმება კითხვები იმ მიზნით, რომ დადგინდეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სხვა განსაკუთრებული ფაქტორები, რომლებიც ნათლად განსაზღვრავენ, დამნაშავეა თუ არა ბრალდებული. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თავმჯდომარე უფლებამოსილია მსაჯულებს დაუსვას კითხვები ყველა იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომელსაც შესაძლოა გავლენა ჰქონოდა ფაქტებზე, რომლებიც საფუძვლად დაედო ბრალდებას, იმ შემთხვევაში, თუ ეს გარემოებები განიხილებოდა ზეპირი სხდომების დროს. მთავარი კითხვა ეხება ბრალდების შემადგენელ ელემენტებს; ცალ-ცალკე კითხვები უნდა დაისვას ბრალდების თითოეულ პუნქტთან დაკავშირებით. შესაძლებელია ასევე დაისვას სხვა კითხვები, დაკავშირებული ცალკეულ ფაქტორებთან ისეთი, როგორიცაა დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი გარემოებების არსებობა. ბრალდებას და ბრალდებულს შეუძლიათ გააპროტესტონ შეკითხვები და ასევე აქვთ შესაძლებლობა მიმართონ თავმჯდომარეს თხოვნით მსაჯულებისათვის დამატებითი კითხვების დასმის შესახებ. შეკითხვებთან დაკავშირებით წარმოქმნილი დავის შემთხვევაში, ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ უნდა მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.
28. 341-ე მუხლის თანახმად, კითხვების დასმის დამთავრებისთანავე, თავმჯდომარე გადასცემს მათ ნაფიც მსაჯულებს. ამავდროულად, ის

გადასცემს საბრალდებო დასკვნას და მტკიცებულებებს, გარდა მოწმეთა წერილობითი ჩვენებებისა.

29. 342-ე მუხლის შესაბამისად, შეკითხვების დასმისა და გადაცემის შემდეგ, მსაჯულები გადიან სათათბირო ოთახში. ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობიდან, წილისყრის საფუძველზე, მისი თანხმობის შემთხვევაში, ინიშნება უფროსი მსაჯული. თათბირის დაწყებამდე, უფროსი მსაჯული, კითხულობს ინსტრუქციას, რომელიც სათათბირო ოთახში დიდი შრიფტით მოთავსებულია გამოსაჩენ ადგილას. „კანონი არ ავალდებულებს ნაფიც მსაჯულებს ახსნან, თუ როგორ მიიღეს საკუთარი მრწამსის საფუძველზე ესა თუ ის გადაწყვეტილება; კანონი არ ადგენს წესებს, რომლითაც მსაჯულებმა უნდა იხელმძღვანელონ მტკიცებულებების სისრულის და საკმარისობის შეფასებისას; ის მოითხოვს, რომ მათ ჩუმად, დაფიქრებულად, საკუთარ თავს დაუსვან კითხვა და გადაწყვიტონ გულწრფელად და სინდისიერად, რა შთაბეჭდილება მოახდინა მათზე ბრალდებულის წინააღმდეგ წარმოდგენილმა მტკიცებულებებმა და დაცვის მიერ მოწოდებულმა მასალებმა. კანონი არ ეუბნება მათ: „გარკვეული რაოდენობის მოწმეთა მიერ ყოველი დადასტურებული ფაქტი შეესაბამება სიმართლეს“; იმასაც არ ეუბნება, რომ: „თქვენ არ უნდა მიიჩნიოთ მოპოვებული მტკიცებულება საკმარისად, დადგენილად, თუ ის არ გამომდინარეობს ამ ანგარიშიდან, ამ მტკიცებულებიდან, ამდენი მოწმის ჩვენებიდან, ან ამდენი მინიშნებიდან. ის უსვამს მათ მხოლოდ ერთ კითხვას, რომელიც სრულად მოიცავს მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს: „ხართ კი შინაგანად დარწმუნებულნი?“
30. 343-ე მუხლის თანახმად, ნაფიც მსაჯულებს სათათბირო ოთახიდან გასვლის უფლება ეძლევათ მხოლოდ მაშინ, როცა ვერდიქტი გამოტანილია.
31. და ბოლოს, 352-ე მუხლი ადგენს, რომ თუ მოსამართლეებმა ერთხმად აღიარეს, რომ პროცედურული მოთხოვნების შესრულებისას ნაფიცმა მსაჯულებმა არსებითი შეცდომა დაუშვეს, სასამართლომ უნდა შეაჩეროს და გადადოს საქმის განხილვა შემდეგი სხდომისთვის, რომელშიც მონაწილეობას ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობა მიიღებს; მათ რიგებში დაუშვებელია მოხვდეს წინა შემადგენლობის რომელიმე წევრი. თუმცა, მთავრობის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ასეთ შემთხვევას მხოლოდ სამჯერ ჰქონდა ადგილი.

2. საკასაციო სასამართლოს პრეცედენტული სამართალი

32. პალატის 2009 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილება აისახა ბელგიის სასამართლოების პრეცედენტულ სამართალზე.
33. 2009 წლის 10 ივნისის №2505 (P.09.0547.F) გადაწყვეტილებით, საკასაციო სასამართლომ დაადგინა:

„რაც შეეხება საკუთარი ინიციატივით (*proprio motu*) შეტანილ საჩივარს იმის თაობაზე, რომ დაირღვა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილი:

რ.ტ. ბელგიის სამეფოს წინააღმდეგ საქმეზე 2009 წლის 13 იანვრის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთან მიმართებაში კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილი გულისხმობს, რომ

სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი ბრალდება ნათლად უნდა გამოხატავდეს იმ მოსაზრებებს, რომლებიც საფუძვლად დაედო ნაფიც მსაჯულთა მიერ ბრალდებულისთვის გამოტანილ გამამტყუნებელ ან გამამართლებელ განაჩენს და უნდა მოიცავდეს ზუსტ დასაბუთებას, თუ რატომ გასცეს ნაფიცმა მსაჯულებმა დადებითი ან უარყოფითი პასუხი დასმულ კითხვებს.

გადაწყვეტილების ინტერპრეტაციის სავალდებულო ძალის, ასევე ბელგიის მიერ რატიფიცირებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე შიდა სამართალთან მიმართებაში საერთაშორისო ნორმების უპირატესობის გათვალისწინებით, სასამართლო იძულებულია უარი თქვას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 342-ე და 348-ე მუხლების გამოყენებაზე, ვინაიდან ეს მუხლები საფუძვლად დაედო წესს, რომელიც ევროპულ სასამართლოს მხრიდან კრიტიკის საგანი გახდა. ამ წესის მიხედვით, ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილი ვერდიქტი დასაბუთებას არ საჭიროებს.

როგორც სასამართლოს მიერ გათვალისწინებული დოკუმენტები ცხადყოფენ, კერძოდ, საბრალდებო დასკვნა, წინასწარი გამოძიების დროს მომჩივანმა, რომელიც მიეცა პასუხისმგებლობაში განზრახ მკვლელობისთვის როგორც უშუალო ამსრულებელი ან თანამონაწილე, წარმოადგინა ახსნა-განმარტებები იმ ქმედებებთან დაკავშირებით, რომელიც მის ბრალდებას საფუძვლად დაედო; თუმცა ეს ახსნა-განმარტებები უარყოფილი იქნა იმ მოწმის მიერ, რომლის ვინაობაც არ გამოაშკარავდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 86 *bis* და 86 *ter* მუხლების თანახმად.

2009 წლის 18 თებერვლის სხდომაზე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინაშე დაყენებული შუამდგომლობაში, მომჩივანმა მოითხოვა, რომ ვერდიქტი იყოს დასაბუთებული, რადგან მისი დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში, მას შეეძლოს გარკვევა, თუ რატომ სცნეს ნაფიცმა მსაჯულებმა ის დამნაშავედ და შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს ჰქონდეს საშუალება გაარკვიოს, რამდენად სამართლიანია გამოტანილი ვერდიქტი.

რაც შეეხება მომჩივანის მკვლელობის ბრალდებას, ნაფიც მსაჯულებს მოეთხოვათ პასუხის გაცემა მთავარ კითხვაზე ბრალდებულის განზრახ მკვლელობაში მონაწილეობასთან დაკავშირებით; დამატებით კითხვაზე აუცილებელ მოგერიებასთან დაკავშირებით და ორ ალტერნატიულ კითხვაზე იმ დანაშაულთან დაკავშირებით, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 401-ე მუხლით. პირველ კითხვას ნაფიცმა მსაჯულებმა დადებითი პასუხი გასცეს, მეორეს უარყოფითი, ხოლო დანარჩენი კითხვები უპასუხოდ დატოვეს.

გასჩივრებული განაჩენი, რომლის თანახმად მომჩივანს მკვლელობისთვის 18 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, დაეფუძნა ვერდიქტს, რომელიც გამოიტანეს კანონთან შესაბამისობაში დასმულ კითხვებზე გაცემული დადებითი და უარყოფითი პასუხების საფუძველზე. განაჩენში ნათქვამია, რომ ბრალეულობის დასამტკიცებლად დამატებითი დასაბუთება საჭიროებას არ წარმოადგენს, რადგან კითხვების სიზუსტე ადექვატურად ანაზღაურებს გადაწყვეტილების სიმოკლეს.

თუმცა, მარტივი განაცხადი იმისა, რომ მომჩივანი პასუხისმგებელია მკვლელობისთვის და რომ არ არსებობს შემამსუბუქებელი გარემოებები არ ავლენენ ზუსტ დასაბუთებულობას იმისა, თუ როგორ მივიდნენ ნაფიცი მსაჯულები ამ დასკვნამდე მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანი ბრალდებას უარყოფდა, შესაბამისად, სასამართლოს არ შეუძლია გადახედოს, მათ შორის ისეთ საკითს, იყო თუ არა გამოტანილი განაჩენი დიდწილად დაფუძნებული ანონიმი მოწმის მამხილებელ ჩვენებაზე, თუ ეს ჩვენებები გამყარებული იყო სხვა დამადასტურებელი მტკიცებულებებით, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 341-ე მუხლის მე-3 ნაწილით.

ამასობაში, ბელგიის კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც არ ავალდებულებს ნაფიც მსაჯულებს ახსნას, თუ რის საფუძველზე მიიღეს საკუთარი მრწამსით განპირობებული

გადაწყვეტილება [სასამართლო] მიიჩნევს რომ ეს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება კონვენციის მე-6 მუხლს, რომელიც უნდა იყოს გაგებული, როგორც სამართლიანი სასამართლოს უფლება, რომელიც მოიცავს დასაბუთებაზე დაფუძნებულ ვერდიქტს.“

34. მსგავსი შინაარსის რამოდენიმე გადაწყვეტილება შემდგომში იყო მიღებული.

3. საკანონმდებლო რეფორმა

35. ბელგიაში, ტაქსკეს საქმეზე პალატის გადაწყვეტილებამდე, 2008 წლის 25 სექტემბრის კანონმა, სხვა საკითხებთან ერთად, სენატს შესთავაზა ემსჯელა დახმარების გაწევის მიზნით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თავმჯდომარესათვის ნაფიც მსაჯულთა თათბირზე დასწრების უფლების მინიჭებაზე. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 350-ე მუხლით შემოთავაზებულ ვარიანტში ნათქვამი იყო, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ უნდა წარმოადგინოს დასაბუთება, თუ რის საფუძველზე გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი, თუმცა მხარეთა არგუმენტების შეფასება აუცილებელი არ არის.

36. 2009 წლის 21 დეკემბრის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს რეფორმის კანონმა, რომელიც 2010 წლის 11 იანვარს *Moniteur belge*-ში გამოქვეყნდა და ძალაში 2010 წლის 21 იანვარს შევიდა, შემოიღო მოთხოვნა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მისამართით ვერდიქტის ძირითადი დასაბუთების წარმოდგენის თაობაზე. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი დებულებები ახლა ჟღერს შემდეგნაირად:

„327-ე მუხლი

როგორც კი ნაფიც მსაჯულებს დაუსვამენ და გადასცემენ კითხვებს, ისინი ვალდებული არიან გადაინაცვლონ სათათბირო ოთახში საქმის განსახილველად.

უფროსი მსაჯული არის მსაჯულთა შემადგენლობიდან წილისყრით არჩეული პირი, ან უშუალოდ მსაჯულთა მიერ მისი თანხმობით არჩეული პირი.

თათბირის დაწყებამდე, უფროსი მსაჯული კითხულობს შემდეგ ინსტრუქციას, რომელიც სათათბირო ოთახში დიდი შრიფტით მოთავსებულია გამოსაჩენ ადგილას: „კანონის თანახმად, ბრალდებული დამნაშავედ შეიძლება იყოს ცნობილი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმეზე მოპოვებული მტკიცებულებებიდან ნათლად გამომდინარეობს, რომ მან ყოველგვარი გონივრული ეჭვის მიღმა ჩაიდინა დანაშაული.

328-ე მუხლი

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წევრებს სათათბირო ოთახის დატოვება მხოლოდ ვერდიქტის გამოტანის შემდეგ შეუძლიათ.

განხილვის პროცესში არავის აქვს უფლება შევიდეს სათათბირო ოთახში, რა მიზეზიც არ უნდა არსებობდეს ამისთვის, თავმჯდომარის წერილობითი თანხმობის გარეშე. თავმჯდომარეს შეუძლია შევიდეს ოთახში მხოლოდ მაშინ, თუ მას დაუძახებს უფროსი მსაჯული, კერძოდ, თუ წარმოიშვა კითხვები სამართალთან დაკავშირებით, ხოლო მასთან ერთად ოთახში შედიან მისი კოლეგა მოსამართლეები, ბრალდებული თავის ადვოკატთან ერთად, სამოქალაქო მხარე, პროკურორი და სასამართლო მდივანი. თითოეული ასეთი შემთხვევა უნდა დაფიქსირდეს წერილობით .

334-ე მუხლი

სასამართლო და ნაფიცი მსაჯულები დაუყოვნებლივ უნდა შევიდნენ სათათბირო ოთახში.

მათ უნდა ჩამოაყალიბონ თავისი გადაწყვეტილების ძირითადი საფუძვლები, მხარეთა შუამდგომლობების სათაოდ განხილვის გარეშე.

გადაწყვეტილებას ხელს აწერს თავმჯდომარე, უფროსი მსაჯული და სასამართლო მდივანი.“

დ. სისხლის სამართლის კოდექსის დებულებები

37. სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლები ითვალისწინებენ შემდეგს:

„51-ე მუხლი

სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის მცდელობა გულისხმობს განზრახვას, ჩაიდინო მძიმე დანაშაული (*დანაშაული*) ან სხვა დანაშაული, რაც გამოიხატება ქმედებაში, რომელიც არის პირველი ნაბიჯი გადადგმული დანაშაულის ჩადენისკენ, თუმცა ვერ ხორციელდება ან ვერ აღწევს დასახულ მიზანს დანაშაულის შემსრულებლისგან დამოუკიდებელი გარემოებების გამო.

66-ე მუხლი

ქვემოთ ჩამოთვლილი პირები დაისჯებიან როგორც ამსრულებლები მძიმე ან სხვა დანაშაულისა:

უშუალოდ დანაშაულის ჩადენაში ან მის პირდაპირ ხელშეწყობაში;
ან ნებისმიერი ქმედების მეშვეობით ისეთი სახის დახმარების გაწევაში, რომლის გარეშეც დანაშაული ვერ განხორციელდებოდა;
ან საჩუქრების, დაპირებების, მუქარის, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების, დაგეგმვის ან სხვა ხერხის მეშვეობით სხვა პირის მიერ დანაშაულის ჩადენის პირდაპირ წაქეზებაში;
ან საჯარო შეკრების ადგილებში გამოსვლებით, წერიტით ან ბეჭდური საშუალებების, სურათებისა თუ სიმბოლოების გავრცელებითა ან გაყიდვით, გასაყიდად გამოტანითა თუ საჯარო ადგილებში გამოფენით, სხვა პირის მიერ დანაშაულის ჩადენის პირდაპირ წაქეზებაში მაშინაც კი, როცა ამ წაქეზებას არანაირი ეფექტი არ ჰქონდა.“

67-ე მუხლი

ქვემოთ ჩამოთვლილი პირები დაისჯებიან როგორც თანამონაწილენი მძიმე ან სხვა დანაშაულისა;

ისინი, ვინც დანაშაულის ჩადენის მითითებებს გასცემენ;
ისინი, ვინც დანაშაულის ჩადენის მიზნით შეიძინეს იარაღი, ხელსაწყოები ან სხვა საშუალებები და იცოდნენ, რა მიზნისთვისაც იყო ეს განკუთვნილი;
ისინი, ვინც, გარდა 66-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა, განზრახ გაუწიეს დახმარება ან შეუწყეს ხელი ამსრულებელს ან ამსრულებლებს დანაშაულის მოსამზადებელ ეტაპზე, ან უშუალოდ დანაშაულის ჩადენისას ან დასრულების მომენტში.

393-ე მუხლი

წინასწარი განზრახვით ჩადენილი მკვლელობა დაკვალიფიცირდება, როგორც განზრახ მკვლელობა (*meurtre*). ის დაისჯება (თავისუფლების აღკვეთით ოციდან ოცდაათ წლამდე).

394-ე მუხლი

განზრახვით ჩადენილი მკვლელობა დაკვალიფიცირდება, როგორც განზრახ მკვლელობა (*assassinat*). ის დაისჯება (უვადო პატიმრობით).“

ე. 2007 წლის 1 აპრილის კანონი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით - სისხლის სამართლის საქმის გადასინჯვის შესახებ

38. 2007 წლის 1 აპრილის კანონის თანახმად, (რომელიც 2007 წლის 9 მაისს გამოქვეყნდა *Moniteur belge*-ში და ძალაში 2007 წლის 1 დეკემბერს შევიდა) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ კონვენციის დარღვევის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანა, მსჯავრდებულს საქმის გადასინჯვის უფლებას ანიჭებს.

39. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 442-ე *bis* მუხლი ადგენს:

„თუ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის და მისი დამატებითი ოქმების (შემდგომში „ევროპული კონვენცია“) დარღვევის შესახებ, შუამდგომლობის შეტანა შეიძლება საქმის გადასინჯვის მოთხოვნით. ეს შეეხება მხოლოდ იმ სისხლის სამართლის საქმეებს, რომელიც უშუალოდ განიხილა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, ასევე ისეთ საქმეებს, რომელიც, მართალია, ეხება სხვა ადამიანს, მაგრამ, ის იგივე მტკიცებულებების საფუძველზე და იგივე დანაშაულისთვის სცნეს დამნაშავედ.“

40. კოდექსის 442-ე *ter* მუხლი ითვალისწინებს:

„ქვემოთ ჩამოთვლილ პირებს შეუძლიათ დააყენონ შუამდგომლობა საქმის ხელახალი გადასინჯვის მოთხოვნით:

- (1) მსჯავრდებულს;
- (2) მსჯავრდებულის გარდაცვალების, უნარშეზღუდულობის ან უგზო-უკვლოდ დაკარგვის შემთხვევაში, მის მეუღლეს, კანონიერ თანაცხოვრებაში მყოფს, მემკვიდრეებს, დებს და ძმებს.
- (3) საკასაციო სასამართლოს მთავარ პროკურორს, საკუთარი შუამდგომლობით ან იუსტიციის მინისტრის ინიციატივით.“

41. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 442-ე *quinquies* მუხლი ითვალისწინებს:

„თუ საჩივრის განხილვა ცხადყოფს, რომ სადავო განაჩენი ეწინააღმდეგება ევროპულ კონვენციას ან რომ სასამართლოს მიერ დადგენილი დარღვევა არის შედეგი პროცესუალური შეცდომებისა თუ სხვა ხარვეზისა, რომელიც იმდენად მძიმეა, რომ სერიოზული ეჭვის ქვეშ აყენებს საქმის განხილვის შედეგებს, საკასაციო სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება საქმის გადასინჯვის თაობაზე. ეს ნორმა ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევებზე, როდესაც მსჯავრდებული ან 442-ე *ter* მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილი პირი კვლავინდებურად განიცდის მნიშვნელოვან ზიანს, რომლის აღმოფხვრაც შეუძლებელია ხელახალი სასამართლო განხილვის გარეშე.“

42. და ლუზ დომინგოს ფერეირა ბელგიის წინააღმდეგ (*no. 50049/99, 24 May 2007*) საქმეში სასამართლო გადაწყვეტილების შემდეგ, საკასაციო სასამართლომ 2008 წლის 9 აპრილის დადგენილებით, ხელახალი სასამართლო განხილვა მოითხოვა და 1999 წლის 6 იანვარს გამოტანილი გადაწყვეტილება უკან გამოითხოვა (*Journal des tribunaux, 2008, p. 403*).

III. შედარებითი სამართალი

43. ნათელია, რომ ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ინსტიტუტის ბევრი სხვადასხვა მოდელი არსებობს. სხვადასხვა მოდელი ასახავს შესაბამისი ქვეყნების კულტურულ და ისტორიულ თავისებურებებს, მათ შორის, ისეთ ქვეყნებშიც, რომლებმაც არჩევანი „ტრადიციულ“ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მოდელის სასარგებლოდ გააკეთეს; მათი განმსაზღვრელი ნიშანია ის, რომ პროფესიონალ მოსამართლეებს ნაფიც მსაჯულთა თათბირში მონაწილეობის მიღების უფლება არ გააჩნიათ.
44. ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნები შეიძლება სამ კატეგორიად დავეყოთ: ქვეყნები, რომელთაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს რაიმე მოდელი ან ზოგადად, სისხლის სამართლის საქმეებში მსაჯულთა მონაწილეობის სისტემა არ გააჩნიათ; ქვეყნები, რომლებიც გამოიყენებენ თანამშრომლობის მოდელს, კერძოდ, როდესაც სისხლის სამართლის საქმეებზე პროფესიონალ მოსამართლეებთან ერთად მსაჯულებიც თათბირობენ; და მესამე კატეგორია, რომელმაც სისხლის სამართლის საქმეებზე არჩევანი ნაფიც მსაჯულთა „ტრადიციული“ მოდელის სასარგებლოდ გააკეთა.
45. განხილულ მოდელებს შორის, ევროპის საბჭოს თოთხმეტ წევრ ქვეყანას არასოდეს ჰქონია ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სისტემა, ან სისხლის სამართლის საქმეებში მსაჯულთა მონაწილეობის ნებისმიერი სხვა ფორმა, ან გააუქმეს ეს სისტემა, ეს ქვეყნებია: ალბანეთი, ანდორა, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, კიპრი, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მოლდოვეთი, ნიდერლანდები, რუმინეთი, სან მარინო და თურქეთი. ამ ქვეყნებში, სისხლის სამართლის სასამართლო სისტემა შედგება მხოლოდ პროფესიონალი მოსამართლეებისგან.
46. თანამშრომლობის სისტემის მქონე წევრი ქვეყნებია: ბულგარეთი, ხორვატია, ჩეხეთის რესპუბლიკა, დანია, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი, ისლანდია, იტალია, ლიხტენშტეინი, მონაკო, მონტენეგრო, ნორვეგია (უმეტეს შემთხვევებში), პოლონეთი, პორტუგალია, სერბეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, შვედეთი, „მაკედონიის ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა“ და უკრაინა. თანამშრომლობის სისტემა, რომელიც ასევე შესაძლოა იყოს გამოყენებული ნაფიც მსაჯულთა ტრადიციულ მოდელთან ერთობლიობაში ხასიათდება იმით, რომ პროფესიონალი მოსამართლეები და ნაფიცი მსაჯულები ყველა სამართლებრივ და ფაქტობრივ გარემოებას, ასევე ბრალეულობის და სასჯელის განსაზღვრის საკითხს, ერთობლივად ადგენენ.
47. ევროპის საბჭოს წევრმა ათმა ქვეყანამ არჩევანი ნაფიც მსაჯულთა ტრადიციული სასამართლო სისტემის სასარგებლოდ გააკეთა, კერძოდ: ავსტრია, ბელგია, საქართველო, ირლანდია, მალტა, ნორვეგია (მხოლოდ რთულ საქმეებში სააპელაციო ინსტანციის დონეზე), რუსეთის ფედერაცია, ესპანეთი, შვეიცარია (ჟენევის კანტონი), 2011 წლის 1 იანვრამდე, და გაერთიანებული სამეფო (ინგლისი, უელსი, შოტლანდია და ჩრდილოეთ ირლანდია).

48. თავისი ტრადიციული ფორმით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება ნაფიცი მსაჯულებისა და რამოდენიმე პროფესიონალი მოსამართლისგან. მსაჯულთა რაოდენობა დამოკიდებულია ქვეყანასა და განხილვის საგანზე. პროფესიონალ მოსამართლეთა რაოდენობა ყველა ქვეყანაში სხვადასხვაა. ირლანდიაში, მალტაში, რუსეთში, ესპანეთში, შვეიცარიაში და გაერთიანებულ სამეფოში სასამართლოსა და ნაფიც მსაჯულებს თავმჯდომარეობს ერთი მოსამართლე. ავსტრიაში, ბელგიასა და ნორვეგიაში სასამართლო, ნაფიც მსაჯულებთან ერთად, სამი პროფესიონალი მოსამართლისგან შედგება. პროფესიონალ მოსამართლეებს არ შეუძლიათ ნაფიც მსაჯულთა მიერ ბრალეულობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში მონაწილეობის მიღება, ეს მხოლოდ ნაფიც მსაჯულთა კომპეტენციაში შედის.
49. მთელ რიგ ქვეყნებში, საქმის განხილვის დაწყებამდე, მსაჯულებს კონკრეტული კითხვების სიას გადასცემენ. შვიდი სახელმწიფო - ავსტრია, ბელგია, ირლანდია, ნორვეგია, რუსეთი, ესპანეთი და შვეიცარია - ხსენებულ პრაქტიკას მისდევს.
50. ირლანდიაში, ინგლისსა და უელსში მტკიცებულებების შესწავლის შემდგომ, მოსამართლე მსაჯულებს საქმის საბოლოო შეჯამებულ ვარიანტს წარუდგენს. ის მათ შეახსენებს უკვე მოსმენილ მტკიცებულებებს. ამასთან, მოსამართლე კონკრეტული მტკიცებულებების სწორი კუთხით გათვალისწინების თაობაზე აძლევს დირექტივებს. ის ასევე აწვდის მსაჯულებს ინფორმაციასა და ახსნა-განმარტებებს გამოყენებადი სამართლებრივი ნორმების შესახებ. ამ კონტექსტში, მოსამართლე აკეთებს განმარტებებს დანაშაულის შემადგენელი ელემენტების თაობაზე და ადგენს მსჯელობის კონკრეტულ ხაზს, რომლის მიდევნებაც აუცილებელია მსაჯულთა მიერ დადგენილი ფაქტების საფუძველზე ვერდიქტის გამოსატანად.
51. ნორვეგიაში მოსამართლე აკვალთანებს მსაჯულებს ყველა წამოჭრილ სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით და უხსნის წესებს, რომელთა დაცვა აუცილებელია ვერდიქტზე მსჯელობისას. სასამართლოს დასასრულს, მოსამართლის მიერ ხდება მსაჯულთათვის მტკიცებულებების შეჯამება და ის მიაპყრობს მათ ყურადღებას მტკიცებულებების მნიშვნელობაზე.
52. ავსტრიაში, მსაჯულთა ვერდიქტის გამოტანა ხდება დეტალური კითხვარის საფუძველზე, რომელიც სხვადასხვა ბრალდების ყველა ძირითად ელემენტს განმარტავს და შეიცავს შეკითხვებს, რომლებზეც უნდა გაიცეს „კი“ ან „არა“ პასუხი.
53. მსაჯულები, როგორც წესი, თათბირობენ ცალკე, თავმჯდომარე მოსამართლის/მოსამართლეებისაგან დამოუკიდებლად. რა თქმა უნდა, მსაჯულთა თათბირის საიდუმლოება ბევრ ქვეყანაში მტკიცედ დადგენილ პრინციპს წარმოადგენს.
54. ბელგიაში, პროფესიონალი მოსამართლე შესაძლებელია მიიწვიონ სათათბირო ოთახში კონკრეტული საკითხების განსამარტად, თუმცა მას არ აქვს უფლება გამოთქვას საკუთარი აზრი ბრალეულობასთან დაკავშირებით ან კენჭისყრაში მიიღოს მონაწილეობა. ნორვეგიაში მსაჯულებს შეუძლიათ გამოიძახონ თავმჯდომარე მოსამართლე; თუმცა, თუ მსაჯულები ჩათვლიან, რომ ისინი საჭიროებენ დამატებით განმარტებებს გასაცემ პასუხებთან დაკავშირებით, ასევე გამოსაყენებელ სამართლებრივ პრინციპებსა თუ პროცედურასთან

- დაკავშირებით, ან თუ ისინი მიიჩნევენ, რომ შეკითხვები უნდა შეიცვალოს ან საჭიროა ახალი შეკითხვის დასმა, ისინი უნდა დაბრუნდნენ სასამართლო დარბაზში, რომ შესაბამისი საკითხის განხილვა მხარეების თანდასწრებით გააგრძელონ.
55. ქენევის კანტონში თავმჯდომარე მოსამართლე მსაჯულთა დახმარების მიზნით თათბირში იღებს მონაწილეობას, თუმცა ბრალეულობასთან დაკავშირებით საკუთარი აზრის გამოთქმა არ შეუძლია. სასამართლო მდივანი ასევე ესწრება განხილვას, რათა მიღებული გადაწყვეტილებები და დასაბუთების ჩაწერა აწარმოოს.
56. როგორც ჩანს, „ტრადიციული“ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო გამოტანილი ვერდიქტის დასაბუთებას არ ახდენს. ეს ეხება ყველა ქვეყანას, ესპანეთისა და შვეიცარიის გარდა (ქენევის კანტონი).
57. ესპანეთში, ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი ხუთი ნაწილისგან შედგება. პირველი - დასადგენი ფაქტების ჩამონათვალი, მეორე, დაუდგენელი ფაქტების ჩამონათვალი, მესამე არის მსაჯულთა გადაწყვეტილება დამნაშავეა თუ არა, მეოთხე - მტკიცებულებების მითითებით დასაბუთების მოკლე აღწერა, რომელსაც ეფუძნება განაჩენი და არგუმენტები იმისა, საჭიროებენ თუ არა კონკრეტული ფაქტები დადგენას. მეხუთე ნაწილი შედგება იმ ჩანაწერებისგან, რომლებშიც ასახულია ყველა ის მოვლენა, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქმის განხილვისას, მაგრამ არ ამხელენ ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება დაარღვიოს თათბირის საიდუმლოების პრინციპი.
58. 1991 წლამდე, ქენევის კანტონის ხელისუფლება მიიჩნევდა, რომ ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილი ვერდიქტი აკმაყოფილებდა დასაბუთებულობის მოთხოვნას, რადგან მსაჯულები მათ წინაშე დაყენებულ თითოეულ კონკრეტულ კითხვაზე „კი“ ან „არა“ პასუხს გასცემდნენ. თუმცა, 1991 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ფედერალურმა სასამართლომ მსგავსი პასუხები არასაკმარისად მიიჩნია და მომავალში, კანტონის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსგან უფრო დასაბუთებული განაჩენის გამოტანა მოითხოვა. 1992 წელს ქენევის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 298-ე და 308-ე მუხლებში შეიტანეს შესწორებები, რომელთა თანახმად, მსაჯულებს მოეთხოვათ დასაბუთების მითითება, რაც გამოტანილი ვერდიქტის თუ გადაწყვეტილების სიცხადისთვის იქნებოდა აუცილებელი. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 327-ე მუხლის თანახმად, მსაჯულებს მოეთხოვებოდა განმარტონ „ძირითადი მტკიცებულებების გათვალისწინების ან უარყოფის მიზნები და სამართლებრივი საფუძვლები, რომელთაც დაეფუძნა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ვერდიქტის თუ სხვა გადაწყვეტილების გამოტანისას; ასევე უნდა განიმარტოს მსაჯულთა გადაწყვეტილება სასჯელსა ან სხვა ზომის დაკისრებასთან დაკავშირებით.“
59. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი ვერდიქტის გასაჩივრება შესაძლებელია იმ ქვეყნებში, რომლებმაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს „ტრადიციული“ სისტემა აირჩიეს. ეს ქვეყნებია: საქართველო, ირლანდია, მალტა, ესპანეთი, შვეცია და გაერთიანებული სამეფო. გასაჩივრება შეუძლებელია ავსტრიაში, ბელგიაში, ნორვეგიაში, რუსეთსა და შვეიცარიაში (ქენევის კანტონში). ავსტრიაში, სასამართლოში მსჯავრდებულებს მხოლოდ

სასჯელის გასაჩივრება შეუძლიათ. მათ ასევე შეუძლიათ შეიტანონ საჩივარი უზენაეს სასამართლოში განაჩენის გაუქმების მოთხოვნით.

60. ბელგიაში, მოცემული საქმეში აღწერილი მოვლენების შემდგომ, 2009 წლის 21 დეკემბრის კანონით, რომელიც ძალაში 2010 წლის 21 იანვარს შევიდა (იხ. ზემოთ 36-ე პარაგრაფი) ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პროცედურაში შესწორებები შევიდა. კერძოდ, კანონი მოითხოვს, რომ იმისათვის რომ გასაგები გახდეს, თუ რის საფუძველზე გამოიტანეს ნაფიც მსაჯულებმა ვერდიქტი, წარმოდგენილი უნდა იყოს მისი ძირითადი დასაბუთება.

სამართალი

I. დიდი პალატის მიერ განსახილველი საქმის ფარგლები

61. თავის მოსაზრებებში, რომელიც მომჩივანმა დიდ პალატას წარუდგინა, მან გაიმეორა ყველა ის საჩივარი, რომელიც სასამართლოს წინაშე პირველად საჩივრის ფორმაში დააყენა. 2009 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილებით, დიდმა პალატამ მისაღებად სცნო საჩივარი იმასთან დაკავშირებით, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ არ დაასაბუთა საკუთარი გადაწყვეტილება (მუხლი მე-6, ნაწილი პირველი) და არ დაკითხა ანონიმი მოწმეები (მუხლი მე-6, ნაწილი მე-3, პარაგრაფი (დ)) ხოლო დანარჩენი საჩივრები დაუშვებლად სცნო. შესაბამისად, დიდი პალატა განიხილავს მხოლოდ პალატისთვის მისაღებ საჩივრებს, და „საქმედ“ მოიხსენიებს საჩივრის ფორმას იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც პალატამ მისაღებად მიიჩნია (იხ. სხვა წყაროებთან ერთად, კ. და ტ. ფინეთის წინააღმდეგ [GC], no. 25702/94, §§ 140-41, ECHR 2001-VII).

II. კონვენციის მე-6 მუხლის 1 ნაწილის ნაგულები დარღვევა

62. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ დაირღვა მისი უფლება სამართლიან სასამართლოზე რადგან, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი ვერდიქტი მის ბრალეულობასთან დაკავშირებით არ შეიცავდა დასაბუთებას და მას არ შეეძლო მისი გასაჩივრება სრული იურისდიქციის მქონე სასამართლოს წინაშე. მან იჩივლა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევასთან დაკავშირებით, რომელიც შესაბამის ნაწილში ადგენს:

„wardgenili sisxlissamarTlebrivi nebrismieri braldebis safuZvlianobis gamorkvevisas ყველას აქვს უფლება სასამართლოში.... საქმის სამართლიან განხილვაზე“

ა. პალატის გადაწყვეტილება

63. 2009 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილებით, პალატამ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილის ფარგლებში. კერძოდ, დადგინდა, რომ მსაჯულთათვის დასმული კითხვების ფორმულირებამ შეუძლებელი გახადა იმის დადგენა, თუ

რატომ გაეცა თითოეულ შეკითხვას დადებითი პასუხი, მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანმა სრულად უარყო თავისი მონაწილეობა სავარაუდოდ ჩადენილ დანაშაულებებში. პალატამ ჩათვალა, რომ მსგავსმა მოკლე, გაურკვეველმა და ზოგადმა კითხვებმა შესაძლოა მომჩივანს შეუქმნეს შთაბეჭდილება, რომ მართლმსაჯულება იყო თვითნებური და რომ მას გამჭვირვალობა აკლდა. მომჩივანმა ვერ მიიღო საფუძვლიანი დასაბუთება იმისა, თუ რატომ სცნო ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ ის დამნაშავედ, მან სასამართლოს გადაწყვეტილება ვერ გაიგო, და შესაბამისად ვერ მიიღო. პალატამ ჩათვალა, რომ ზოგადად, ვინაიდან ნაფიცმა მსაჯულებმა ვერდიქტი არა საქმის მასალების, არამედ სასამართლოში მოსმენილი მტკიცებულებების საფუძველზე გამოიტანეს, როგორც მსჯავრდებულისათვის, ასევე ფართო საზოგადოებისათვის, აუცილებელი იყო ვერდიქტის ახსნა იმისათვის, რომ ნათელი მოჰყენოდა იმ მისაზრებებს, რომელთაც დაარწმუნეს მსაჯულები ბრალდებულის ბრალეულობასა თუ უდანაშაულობაში; ასევე აუცილებელია ზუსტი დასაბუთება იმისა, თუ რატომ გაეცა თითოეულ კითხვას დადებითი ან უარყოფითი პასუხი.

ბ. მხარეთა არგუმენტები

1. მომჩივანი

64. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მისი მსჯავრი დაეფუძნა გამამტყუნებელ განაჩენს, რომელიც არ შეიცავდა დასაბუთებას და ვერ გახდებოდა გასაჩივრების საგანი. ვინაიდან საქმე იყო რთული როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით, თორმეტ მსაჯულს, ყოველგვარი იურიდიული კვალიფიკაციის გარეშე, გაუჭირდა გამართული სამართლებრივი შეფასების გაკეთება მის წინააღმდეგ არსებულ ბრალდებებთან დაკავშირებით. გამამტყუნებელ განაჩენში არგუმენტაციის ნაკლებობამ გამოიწვია სათანადო სასამართლო კონტროლის განხორციელება მსაჯულთა მიერ გამოტანილი ვერდიქტის დასაბუთებულობაზე. მხოლოდ ის ფაქტი, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 364-ე *bis* მუხლის თანახმად, თითოეულ გამამტყუნებელ განაჩენს უნდა აეხსნა სასჯელის სახის განმსაზღვრელი საფუძვლები, არ იყო საკმარისი საიმისოდ, რომ კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული დასაბუთებულობის მოთხოვნა დაკმაყოფილებულიყო.
65. *რუის ტორიჯა ესპანეთის წინააღმდეგ* (9 December 1994, Series A no. 303-A) და *პაპონი საფრანგეთის წინააღმდეგ* ((dec.), no. 54210/00, ECHR 2001-XII) საქმეების გათვალისწინებით, მომჩივანმა მიუთითა, რომ დასაბუთების მითითების მოთხოვნა მოიაზრებოდა სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში, თუმცა სასამართლომ ამ მოთხოვნას სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია მისცა. თუმცა, მომჩივანმა აღნიშნა, რომ მისი საქმის შედარება მორის პაპონის საქმესთან არ შეიძლებოდა, რადგან ამ უკანასკნელს დასაბუთების სისწორეში გარკვევა, ნაფიც მსაჯულთა მიერ 768 პასუხის საშუალებით შეეძლო. ამ პასუხებმა ნათლად წარმოაჩინეს, თუ რატომ სცნო საფრანგეთის ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ ის დამნაშავედ. მოცემულ საქმეში, სასამართლოს მსვლელობისას დასმული კითხვები არანაირად არ იყო მიმართული საქმის

არსისკენ; ძალიან ცოტა კითხვა იყო დასმული - მხოლოდ ოცდათორმეტიდან ოთხი ეხებოდა მომჩივანს - და ეხებოდა მხოლოდ იმას, დამნაშავეა თუ არა მკვლელობის ჩადენასა ან მკვლელობის ჩადენის მცდელობაში. ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, მიღებული იყო მხოლოდ „დიახ“ პასუხი.

66. მომჩივანის მტკიცებით, სამართლებრივ ლოგიკაზე დაფუძნებული სამი არგუმენტი მოწმობდა იმის სასარგებლოდ, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო იყო ვალდებული დაესაბუთებინა თავისი გადაწყვეტილება; პირველი ორი ეფუძნებოდა კონვენციის მე-6 მუხლის პირველ ნაწილს. პირველი, პრეცედენტულმა სამართალმა აღიარა, რომ დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილება არის სამართლიანი სასამართლოს ერთ-ერთი გარანტი. არალოგიკური იქნებოდა ამ სფეროში დადგენილ სტანდარტაზე დაბალი მოთხოვნის გავრცელება სამართალწარმოებაზე, რომელიც ყველა მკაცრ სასჯელებში გამოიხატება. მეორე, მე-6 მუხლის პირველი ნაწილი მკვეთრად უსვამს ხაზს მართლმსაჯულების საჯარო ხასიათს. მესამე არგუმენტი ეფუძნებოდა მე-6 მუხლის, მე-3 ნაწილის (ა) პარაგრაფს, რომელიც აღიარებდა, რომ ყოველ სისხლის სამართლის დანაშაულისთვის გასამართლებულს აქვს უფლება დეტალურად იყოს ინფორმირებული მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდების ხასიათისა თუ საფუძვლების შესახებ. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ ეს უფლება ასევე უნდა გავრცელდეს მისი მსჯავრდების საფუძვლებზეც. მართლმსაჯულების მცდარი წარმართვის პრობლემა ასევე ამყარებს იმ აზრს, რომ საჭიროა საფუძვლების გაცხადება. სასამართლოსგან გადაწყვეტილების დასაბუთების მოთხოვნის ფაქტი ნიშნავს იმას, რომ სასამართლომ ემოციებისა და სუბიექტური აზრისგან დამოუკიდებელი, მსჯელობის შეთანხმებული და რაციონალური ხაზი უნდა წარმოადგინოს. და ბოლოს, დასაბუთების მითითება შესაძლებელს გახდიდა სააპელაციო და საკასაციო სასამართლოების მიერ ვერდიქტების გადასინჯვას; მსგავსი გადასინჯვა საჭირო ფარგლებში შეუძლებელი იყო, თუ განაჩენი დამნაშავედ ცნობის საფუძვლებს არ ხსნიდა.

2. მთავრობა

67. ხელისუფლებამ, პირველ რიგში, აღნიშნა, რომ ევროპული სამართლებრივი სისტემები ხასიათდებიან მნიშვნელოვანი მრავალფეროვნებით; ზოგიერთს არ გააჩნია, ან უკვე აღარ გააჩნია მსაჯულთა მონაწილეობით სამართალწარმოება, ხოლო სხვებს აქვთ, მაგრამ მისი მოქმედება, კერძოდ კი, ნაფიც მსაჯულთა მიერ ნაკისრი როლი და ფუნქციები განსხვავდება სხვადასხვა სახელმწიფოებში. გარდა ამისა, [ევროპული] სასამართლო არ იყო მესამე ან მეოთხე ინსტანცია. შესაბამისად, მისი ამოცანა არ იყო აბსტრაქტულად მსჯელობა ან სხვადასხვა სამართლებრივი სისტემების სტანდარტიზაცია, არამედ იმის გარკვევა, აკმაყოფილებენ თუ არა კონკრეტული პროცედურები კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნებს.
68. ბელგიაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების ლეგიტიმურობა ნაფიც მსაჯულთა ინტიტუტის მეოხებით გახდა გარანტირებული. ნაფიცი მსაჯულები წარმოდგენდნენ ხალხს, ვისგანაც თვითონ შეირჩნენ და ამდენად, თავად სარგებლობდნენ ინსტიტუციონალური ლეგიტიმურობით. ნაფიც

მსაჯულთა შემადგენლობა თვითნებური მართლმსაჯულებისგან დამცავ გარანტიად იქცა.

69. მკაფიო მიზეზების არახსნა არ ნიშნავს, რომ გამამტყუნებელი განაჩენი არ იყო მიღწეული დასაბუთებულობის პროცესის შედეგად, რომლის მიღვევნაც და აღდგენაც მსაჯულებს შეეძლოთ. გარდა ამისა, სასამართლოს არასდროს არ ჩაუთვლია, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენებში არგუმენტაციის ნაკლებობა აბსტრაქტულად კონვენციის მე-6 მუხლს ეწინააღმდეგებოდა. მიუხედავად იმისა, რომ საქმეში *გეკტეჰე ბელგიის წინააღმდეგ* (no. 50372/99, 2 June 2005) სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ თითოეული ბრალდებულისათვის დამამძიმებელ გარემოებებთან დაკავშირებით ინდივიდუალური შეკითხვების დასმა აუცილებლობას წარმოადგენდა, სასამართლო არ შეეწინააღმდეგა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ფუნქციონირებას ან თუნდაც ბელგიის კანონის შესაბამისად ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში საფუძვლების არმითითებას.
70. ბელგიის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოებში მიმდინარე სამართალწარმოებამ ცხადყო, რომ ყველა განსასჯელს აქვს შესაძლებლობა მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მტკიცებულებების კანონიერებასა და საფუძვლიანობასთან დაკავშირებით და შეექმნას საკმარისი წარმოდგენა იმაზე, თუ რომელი მტკიცებულებები აღმოჩნდა გადამწყვეტი და, საჭიროების შემთხვევაში, დაცვის რომელი არგუმენტი მიიღეს მხედველობაში მსაჯულებმა ვერდიქტის გამოტანისას. მოცემულ საქმეში, ლეჟეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თავმჯდომარის მიერ ზეპირი განხილვის დამთავრებისას დასმული კითხვები მომჩივანის ბრალეულობასთან დაკავშირებით იყო საკმაოდ მკაფიო ადეკვატური სასამართლო გადაწყვეტილების მისაღებად. დანაშაულის შემადგენელი ელემენტები, ასევე ის ქმედებები, რომელიც ბრალდებას საფუძვლად დაედო და შესაბამისი დამამძიმებელი გარემოებები ნათლად იქნა ჩამოყალიბებული. მომჩივანისთვის ხელმისაწვდომი იყო საბრალდებო დასკვნა, ასევე ჰქონდა შესაძლებლობა მიეღო მონაწილეობა ზეპირ განხილვაში, რა დროსაც მიმდინარეობდა მტკიცებულებების შეფასება. ამიტომ უშედეგოა იმის მტკიცება, რომ მან არ იცოდა თუ რას ეფუძნებოდა მისი განაჩენი. მხოლოდ ის ფაქტი, რომ მსაჯულებმა გამოიტანეს განაჩენი საკუთარი რწმენის საფუძველზე, არ ნიშნავს კონვენციის დარღვევას.

3. მესამე მხარეთა მოსაზრებანი

(ა) გაერთიანებული სამეფოს მთავრობა

71. გაერთიანებული სამეფოს მთავრობა ამტკიცებდა, რომ სასამართლოს პრეცედენტულმა სამართალმა ცხადყო, კერძოდ, *სარიკი დანიის წინააღმდეგ* ((dec.), no. 31913/96, 2 February 1999) საქმეში, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არ მოდიოდა წინააღმდეგობაში კონვენციასთან. სასამართლოსთვის არ არსებობდა აბსოლუტური ვალდებულება დაესაბუთებინა თითოეული გადაწყვეტილება და სასამართლოს მიდგომა იყო საკმაოდ მოქნილი იმისათვის, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სისტემის თავისებურებებს შეეყოფოდა.

72. მართალია, ბრალდებულის სამართლიანი სასამართლოს უფლება არასდროს არ უნდა დადგეს კითხვის ქვეშ, მაგრამ ამის მიღწევა ხელშემკვრელი სახელმწიფოების სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემებში სხვადასხვა გზით შეიძლება. სახელმწიფოებს აქვთ მინიჭებული თავისუფალი შეფასების ფართო საზღვრები სასამართლო პროცედურების მოწესრიგების გზით სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფის მიზნით. ნაფიც მსაჯულთათვის განკუთვნილი კითხვა-პასუხები უნდა განვიხილოთ არა ცალკე, არამედ შესაბამისი სასამართალწარმოების ფარგლებში, პროცედურული გარანტიებისა და გასაჩივრების შესაძლებლობების გათვალისწინებით.
73. მნიშვნელოვანი საკითხი მდგომარეობდა შემდეგში: სასამართლო პროცესის ერთ მთლიანობაში განხილვის პირობებში, შეეძლო თუ არა გაეთვითცნობიერებინა ბრალდებულს მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები, დანაშაულის შემადგენელი სამართლებრივი ელემენტები და მისი მსჯავრის საფუძვლები.
74. გაერთიანებული სამეფოს მთავრობა ამტკიცებდა, რომ ბრიტანულ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სისტემაში, მტკიცებულებებთან დაკავშირებით დასკვნის გაკეთებისას, მოსამართლე აჯამებდა საქმეს მსაჯულთათვის. ის ახსენებდა მათ მიერ მოსმენილ მტკიცებულებებს. მას შეეძლო მიეცა მითითებები სწორი მიდგომის თაობაზე ან გაფრთხილებაც კი, რათა მხედველობაში ყოფილიყო მიღებული კონკრეტული მტკიცებულება. ის ნაფიც მსაჯულებს ასევე მიაწოდებდა ინფორმაციასა და ახსნა-განმარტებებს შესაბამისი სამართლებრივი ნორმების შესახებ. ამასთან მიმართებაში მან სიცხადე შეიტანა დანაშაულის შემადგენელ ელემენტებთან დაკავშირებით და დაადგინა მსჯელობის ის ხაზი, რომლის მიდევნებაც არის საჭირო ნაფიცი მსაჯულების მიერ ფაქტებზე დაფუძნებული ვერდიქტის გამოსატანად. ბრალდებასაც და დაცვასაც აქვს შესაძლებლობა გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები იმ დასკვნასთან დაკავშირებით, რომელსაც, მათი აზრით, მსაჯულებმა უნდა მიაღწიონ.
75. ნაფიცი მსაჯულები თათბირობენ დახურულ კარს მიღმა. თუ ისინი შემდგომ ახსნა-განმარტებებს ან რომელიმე კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით რეკომენდაციებს საჭიროებენ, მათ შეუძლიათ მოსამართლეს გადასცენ წერილი, რომელშიც ასახულია კითხვები, რომლებზეც მათ პასუხები სჭირდებათ. მოსამართლე ნაფიცი მსაჯულების გარეშე წერილს დაცვისა და ბრალდების მხარეებს აჩვენებს და სთავაზობს გამოხატონ თავიანთი აზრი (წარმოდგენა) სათანადო პასუხზე, რის შემდეგაც ის თავისუფალია თავის გადაწყვეტილებაში მისცეს თუ არა ღია სასამართლო სხდომაზე ნაფიც მსაჯულებს მათ მიერ მოთხოვნილი შემდგომი ინსტრუქციები.

(ბ) ირლანდიის მთავრობა

76. ირლანდიის მთავრობის წარმოდგენით, ირლანდიაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სისტემა იყო ბრალდებულთა და უფლებადამცველთა ერთსულოვანი არჩევანი და ქვეყნის სისხლის სამართლის სისტემის ქვაკუთხედად განიხილებოდა. იქ არასდროს ყოფილა ჩივილი სისტემის გამჭვირვალობის ნაკლებობასთან, ბრალდებულის უფლებების დარღვევასა

თუ მათ ხელყოფასთან დაკავშირებით. ამ სისტემამ ირლანდიელებში ნდობა დაიმსახურა; ისინი ძალიან აფასებდნენ მას ისტორიული და სხვა მიზეზების გამო.

77. ირლანდიის მთავრობის აზრით, ირლანდიის კანონმდებლობით, მოსამართლის მიერ ნაფიცი მსაჯულებისთვის მიცემული დირექტივები, უზრუნველყოფს მათ მიერ გამოტანილი განაჩენის დასაბუთებულობას. მოსამართლე მსაჯულებს ყველა წამოჭრილ სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით უწევს კონსულტაციას და უხსნის წესებს, რომლითაც განაჩენის გამოტანისას უნდა იხელმძღვანელონ. სასამართლო პროცესის დასასრულს, ის ნაფიცი მსაჯულებისთვის ასევე აჯამებს მტკიცებულებებს ან მიაპყრობს მათ ყურადღებას მნიშვნელოვან მტკიცებულებებზე. ბრალდებულის ბრალეულობის დამტკიცების მიზნით საკმარისი მტკიცებულებების მოთხოვნასთან დაკავშირებით, ის უხსნის მსაჯულებს ცალკეული მტკიცებულებების პირდაპირ თუ ირიბ ხასიათს და წარმოდგენილი მტკიცებულებების ფარგლებს. ბრალდებულის ადვოკატს აქვს შესაძლებლობა მოსთხოვოს მოსამართლეს, დააზუსტოს მსაჯულთათვის მიცემული ინსტრუქციები, თუ მისი აზრით, ეს ინსტრუქციები არის არაადეკვატურ, არასაკმარისი ან გაურკვეველი. თუ ნაფიცი მსაჯულები კონკრეტულ საკითხზე შემდგომ ახსნა-განმარტებას ან ინსტრუქციას საჭიროებენ, მოსამართლეს მოეთხოვება, რომ იმოქმედოს შესაბამისად.
78. ირლანდიის მთავრობამ დასვა კითხვა, თუ როგორ შეიძლება, რომ სასამართლო სისტემა, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო და კონვენციის წინამორბედი გახლდათ, ახლა მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილის შეუსაბამოდ ჩაითვალოს. პალატის გადაწყვეტილება საკმარისად არ ითვალისწინებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პროცედურას და დაცვის ზომებს როგორც ბელგიაში, ისე სხვა სახელმწიფოებში. სასამართლოს უნდა შეესწავლა, არის თუ არა რაიმე ცვლილება სხვა პროცედურულ ნორმებში ან მტკიცებულებათა ნორმებში, რომლებიც შეუწყობდნენ ხელს გადაწყვეტილების გაგებას. *გრეგორი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (25 February 1997, Reports of Judgments and Decisions 1997-I) საქმეში სასამართლომ აღიარა, რომ ნაფიც მსაჯულთა თათბირის საიდუმლოება იყო გადამწყვეტი და კანონიერი თავისებურება ინგლისის სასამართლო კანონისა, რომელიც ემსახურება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს როგორც უმაღლესი არბიტრის როლის განმტკიცებას და უზრუნველყოფს მსაჯულების მიერ მოსმენილი მტკიცებულებების ღია და გულახდილ განხილვას.
79. ირლანდიის ხელისუფლება ამტკიცებდა, რომ ნაფიცი მსაჯულების განხილვების კონფიდენციალობა დაკავშირებული იყო დასაბუთების არარსებობასთან. მსაჯულების მიმართ მოთხოვნა, რომ წარმოადგინონ მათ მიერ გამოტანილი განაჩენის არგუმენტაცია, ირლანდიაში მოქმედ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სისტემის ხასიათსა და არსს ცვლის.

(გ) საფრანგეთის მთავრობა

80. საფრანგეთის მთავრობის მტკიცებით, სამართალი არ მოითხოვს სისხლის სამართლის სასამართლოებისგან, თუ მათ რიგებში არაპროფესიონალი მსაჯულებიც შედიან, გამოტანილი განაჩენების დასაბუთებას; ასეთი

მოთხოვნა არ არსებობდა მსგავსი სასამართლოების შექმნიდან მოყოლებული. ნაფიც მსაჯულთა სამართლოს პროცედურის არსობრივი თავისებურება მდგომარეობს სამ ძირითად პრინციპში: ზეპირი და უწყვეტი სამართალწარმოება და შინაგანი რწმენის უზენაესობა. ეს მახასიათებლები, რომელთა ჩამოყალიბებაც უშუალოდ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობამ განაპირობა, ფრანგულ სისტემაში ყოველთვის აბათილებდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების დასაბუთების აუცილებლობას. პრინციპი, რომ დასაბუთება საჭიროებას არ წარმოადგენს, ერთმნიშვნელოვნად აისახა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 353-ე მუხლში, რომელიც იყო დაკავშირებული პირად მრწამსთან და ცხადჰყო: ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილება (განაჩენი) უნდა იყოს ნაკარნახევი არა სამართლის ნორმებითა ან კანონით, არამედ „სინდისისა“ და „საღი აზრის“ საფუძველზე, შესწავლილ მტკიცებულებებზე, რომელთაც გაიჟღერეს შეჯიბრებითობის პირობებში მიმდინარე პროცესზე, რომლის მონაწილენი უშუალოდ მსაჯულები გახლდნენ. საფრანგეთის საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაში სამართლებრივად მისაღები „არგუმენტაცია“ შედგებოდა ნაფიც მსაჯულთა მიერ გაცემული პასუხებისგან - „კი“ ან „არა“. იყო შეთავაზებები, რომ შეცვლილიყო პრინციპი დასაბუთების არმოთხოვნასთან დაკავშირებით, მაგრამ საფრანგეთის პარლამენტისთვის ეს მიუღებელი აღმოჩნდა.

81. მართალია, ევროპის საბჭოს რამოდენიმე წევრმა სახელმწიფომ შემოიღო სისტემა, რომლის ფარგლებშიც ნაფიცმა მსაჯულებმა უნდა დაასაბუთოთ გამოტანილი განაჩენები, ეს ფაქტი ვერ გაამართლებს სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან გადახვევას და ვერ გახდება კონვენციის დარღვევის დადგენის საფუძველი. სამართლის სისტემებში უკიდურესი განსხვავებები, როგორიცაა სახალხო მსაჯულების მონაწილეობა ზოგიერთ რთულ სისხლის სამართლის საქმეში გამორიცხავს ისეთი საკითხის ზოგად შეფასებას, როგორიცაა განაჩენის დასაბუთება. ის ფაქტი, რომ ზოგიერთმა ქვეყანამ მიიღო რეფორმა არ ნიშნავს, რომ ის ერთხმად იყო იქ მხარდაჭერილი. გარდა ამისა, ერთი სისტემის მიერ მიღებული მიდგომა, აუცილებლობის სახით ვერ იქნება გადატანილი მეორეში.
82. საფრანგეთის მთავრობა ასევე ამტკიცებდა, რომ სასამართლოს, წევრი სახელმწიფოების შიდა კანონმდებლობის ჰარმონიზაციის უფლებამოსილება არ უნდა გაეცრულებინა; მსგავსი ქმედება მონაწილე ქვეყნებში დააზიანებდა სამართლებრივ სისტემებს და შელახავდა როგორც საკუთარი გადაწყვეტილებების ავტორიტეტს, ისე დემოკრატიის ნორმალურ პროცესს. არსებობდა დიდი რისკი იმისა, რომ პრეცედენტული სამართლიდან გადახვევამ არა მარტო სასამართლო გადაწყვეტილებების, არამედ ადამიანის უფლებათა კონცეპციის დისკრედიტაციაც მოახდინოს. სასამართლოს ამოცანა იყო შიდა კანონმდებლობის განვითარების კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანა, ოღონდ დიდი სიფრთხილითა და თავშეკავებულობით შეეძლო სასამართლოს მიეღო მონაწილეობა სამართლებრივი სისტემების შეცვლის დემოკრატიულ პროცესში, რომელთა ფესვები ღრმად იყო გადგმული ცალკეული სახელმწიფოების ისტორიასა და კულტურაში, განსაკუთრებით მას

შემდეგ, რაც ითვლებოდა, რომ ეს სისტემები შეესაბამებოდნენ კონვენციას. სასამართლოს მეორე სექციის პრეცედენტიდან გადახვევამ შეაფერხა სასამართლოების ნორმალური ფუნქციონირება არა მხოლოდ ბელგიაში, არამედ საფრანგეთშიც. რისკი იმისა, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განხილული საქმეების მომავალში გადასინჯვა მოხდეს, მნიშვნელოვანი საორგანიზაციო და, რაც მთავარია, ადამიანური შედეგების გათვალისწინებით, არ შეიძლება გამოირიცხოს.

გ. სასამართლოს შეფასება

1. ზოგადი პრინციპები

83. სასამართლო აღნიშნავს, რომ ევროპის საბჭოს რამოდენიმე ქვეყანას გააჩნია ნაფიც მსაჯულთა ისეთი სისტემა, რომელიც ნაკარნახევია მართლმსაჯულების განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის კანონიერი სურვილით, განსაკუთრებით ეს შეეხება ყველაზე მძიმე დანაშაულებს. სხვადასხვა ქვეყანაში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი სხვადასხვა ფორმით არსებობს, თითოეული მათგანი იმ ქვეყნის ისტორიას, ტრადიციებსა და სამართლებრივ კულტურას ასახავს; განსხვავებები შესაძლოა ეხებოდეს მსაჯულების რაოდენობას, მათ კვალიფიკაციას (გამოცდილებას), მათ დანიშვნის წესსა და ექვემდებარება თუ არა გასაჩივრების რაიმე ფორმას მათ მიერ გამოტანილი განაჩენი (იხ. ზემოთ პარაგრაფი 43-60). ეს არის ევროპაში არსებული სხვადასხვა სამართლებრივი სისტემებიდან მხოლოდ ერთი მაგალითი და სასამართლოს ამოცანა არ გახლავთ ამ სისტემების სტანდარტიზაცია. რომელიმე სახელმწიფოს მიერ არჩეული კონკრეტული სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების სისტემა, პრინციპში, ევროპული სასამართლოს დონეზე განხორციელებული ზედამხედველობის ფარგლებს გარეთაა მოქცეული იმ შემთხვევაში, თუ არჩეული სისტემა არ ეწინააღმდეგება კონვენციაში დადგენილ პრინციპებს (იხ. *აშულ საფრანგეთის წინააღმდეგ*, [GC], no. 67335/01, § 51, ECHR 2006-IV). გარდა ამისა, ინდივიდუალური საჩივრების შემთხვევაში, შესაბამისი კანონმდებლობის აბსტრაქტულად გადასინჯვა სასამართლოს ამოცანას არ წარმოადგენს. ამის მაგივრად, ის შემთხვევებისდაგვარად მხოლოდ მის წინაშე კონკრეტული საქმეების ფარგლებში წამოჭრილი საკითხების შესწავლით უნდა შემოიფარგლოს (სხვა წყაროებს შორის იხ. *ნ.ს. იტალიის წინააღმდეგ* ([GC], no. 24952/94, § 56, ECHR 2002 X).

84. ამგვარად, ამ კონტექსტში, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი კითხვის ქვეშ არ უნდა დადგეს. არჩევანის გაკეთებისას ხელმომწერი სახელმწიფოები სარგებლობენ მოქმედების ფართო თავისუფლებით, რათა მათი მართლმსაჯულების სისტემა მე-6 მუხლთან სრულ შესაბამისობაში მოიყვანონ. სასამართლოს ამოცანაა, საქმის კონკრეტული გარემოებების, ხასიათისა და სირთულის გათვალისწინებით, განიხილოს, თუ რამდენადაა კონვენციასთან შესაბამისობაში თითოეულ კონკრეტულ საქმეში ამა თუ იმ მეთოდით მიღწეული შედეგები. მოკლედ, სასამართლო უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ სამართალწარმოება მთლიანობაში სამართლიანად წარიმართა (იხ. *ედვარდსი*

გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 16 December 1992, § 34, Series A no. 247-B, და სტენფორდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 23 February 1994, § 24, Series A no. 282-A).

85. სასამართლო აღნიშნავს, რომ მას უკვე მოუწია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პროცედურებთან დაკავშირებული საჩივრების განხილვა. ამგვარად, რ. ბელგიის წინააღმდეგ საქმეში (no. 15957/90, კომისიის 1992წ. 30 მარტის გადაწყვეტილება, გადაწყვეტილებები და ანგარიშები (DR) 72) ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ დაადგინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მსაჯულებმა არ დაასაბუთეს მათ მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თავმჯდომარემ მათ წინასწარვე დაუსვა საქმის გარემოებებთან დაკავშირებული კითხვები და ბრალდებულს ჰქონდა შესაძლებლობა გაესაჩივრებინა მოცემული კითხვები. კომისიამ ჩათვალა, რომ კონკრეტულმა კითხვებმა, რომელთა დასმა შესაძლებელი იყო ბრალდების ან დაცვის მოთხოვნის საფუძველზე, შექმნეს საქმეზე გამოტანილი განაჩენის საფუძველი და საკმარისად დააბალანსეს მსაჯულების პასუხების სიცხადე. კომისისამ საჩივარი აშკარა დაუსაბუთებლობის გამო არ მიიღო. იგივე მიდგომა მოჰყვა საქმეს ზაროული ბელგიის წინააღმდეგ (no. 20664/92, 1994წ. 29 ივნისის კომისიის გადაწყვეტილება DR 78) და პლანკა ავსტრიის წინააღმდეგ (no. 25852/94, 1996წ. 15 მაისის კომისიის გადაწყვეტილება).
86. პაპონი საფრანგეთის წინააღმდეგ განჩინებაში (იხ. ზემოთ) სასამართლომ აღნიშნა, რომ ბრალდების მხარეს და ბრალდებულს ჰქონდათ შესაძლებლობა გაეპროტესტებინათ დასმული კითხვები და ასევე ეთხოვათ თავმჯდომარესთვის, ნაფიც მსაჯულთათვის ერთი ან რამოდენიმე დამატებითი კითხვის დასმა. სასამართლომ აღნიშნა, რომ მსაჯულებმა სასამართლოს თავმჯდომარის მიერ დასმულ 768 კითხვას გასცეს პასუხი და ჩათვალა, რომ კითხვებმა განაჩენისთვის საკმარისი საფუძველი ჩამოაყალიბეს და რომ მათმა სიზუსტემ საკმარისად დააბალანსა ის ფაქტი, რომ მსაჯულების პასუხები დაუსაბუთებელი იყო. სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია და უარყო საჩივარი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაში არგუმენტაციის ნაკლებობასთან დაკავშირებით.
87. ბელერინი ესპანეთის წინააღმდეგ ((dec.), no. 31548/02, 4 November 2003) საქმეში სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო გადაწყვეტილება, რომელსაც ნაფიც მსაჯულთა თათბირის ჩანაწერი ერთვოდა თან - შეიცავდა ფაქტების ჩამონათვალს, რომელთა არსებობაც მსაჯულებმა დადგენილად მიიჩნიეს მომჩივნის დამნაშავედ ცნობისას, ამ ფაქტების სამართლებრივ ანალიზს, და სასჯელის განსაზღვრის მიზნებისთვის იმ გარემოებების ჩამონათვალს, რომელთაც ზეგავლენა იქონიეს მომჩივნის პასუხისმგებლობის დონეზე. შესაბამისად, სასამართლომ დადგინდა, რომ სადავო გადაწყვეტილება კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილისთვის საკმარის დასაბუთებას შეიცავდა.
88. გეკტეპე ბელგიის წინააღმდეგ საქმეში (იხ. ზემოთ, პარაგრაფი 28) ნაფიც მსაჯულთა მიერ დამამძიმებელ გარემოებებთან დაკავშირებით თითოეული განსასჯელისათვის ცალცალკე კითხვების დასმაზე უარის გამო სასამართლომ მე-6 მუხლის დარღვევა დაადგინა; სასამართლომ დაასკვნა, რომ ამით შეუძლებელი გახდა მომჩივანის ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი

პასუხისმგებლობის განსაზღვრა. სასამართლოს აზრით, ის ფაქტი, რომ სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხთან დაკავშირებით არსებული არგუმენტები, რასაც სერიოზული შედეგები მოჰყვა, წინააღმდეგობაში მოდიოდა შეჯიბრებითობის პრინციპთან, რომელიც სამართლიანი სასამართლოს ცნების საფუძველს წარმოადგენს. ეს დასკვა იყო განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი წინამდებარი საქმის ფორმატში, ვინაიდან მსაჯულებს ამ საქმეში განაჩენის დასაბუთების ნება არ მისცეს (იქვე, პარაგრაფი 29).

89. განჩინებაში საქმეზე *სარიკი დანიის წინააღმდეგ* (იხ. ზემოთ) სასამართლომ დაადგინა, რომ განაჩენში დასაბუთების არარსებობა, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მომჩივნის ბრალეულობა დადგინდა მსაჯულების მიერ, თავისთავად კონვენციას არ ეწინააღმდეგებოდა.
90. ზემოთ მოყვანილი პრეცედენტული სამართლიდან გამომდინარე, კონვენცია არ ითხოვს მსაჯულებისგან მათი განაჩენის დასაბუთებას და მე-6 მუხლი არ ეწინააღმდეგება მსაჯულების მიერ განსასჯელის დამნაშავედ ცნობას მაშინაც კი, როცა ვერდიქტი დაუსაბუთებელია. მიუხედავად ამისა, იმისათვის, რომ სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნა დაკმაყოფილდეს, ბრალდებულს და რა თქმა უნდა საზოგადოებასაც უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, გაიგონ გამოტანილი განაჩენი; ეს წარმოადგენს თვითნებობისგან სასიცოცხლო მნიშვნელობის დაცვის გარანტიას. როგორც სასამართლო ხშირად აღნიშნავს ხოლმე, კანონის უზენაესობა და თვითნებობის თავიდან აცილება წარმოადგენს კონვენციის პრინციპების საფუძველებს (იხ. სხვა ბევრ წყაროს შორის, შესაბამისი ცვლილებებით, *როშე გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* ([GC], no. 32555/96, § 116, ECHR 2005-X). სამართლებრივ სისტემაში, ეს პრინციპები მართლმსაჯულების ობიექტური და გამჭვირვალე სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის გამყარებას ემსახურებიან, რაც დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს (იხ. *სუომინენ ფინეთის წინააღმდეგ*, no. 37801/97, § 37, 2003წ. 1 ივლისი, და *ტატიშვილი რუსეთის წინააღმდეგ*, no. 1509/02, § 58, ECHR 2007-III).
91. პროფესიონალი მოსამართლეების მონაწილეობით ჩატარებულ სასამართლო პროცესში, მსჯავრდებულის მიერ საკუთარი ვერდიქტის გაგება პირველ რიგში სასამართლო განაჩენის დასაბუთებულობითაა განპირობებული. ასეთ შემთხვევებში, ეროვნულმა სასამართლოებმა საკმარისი სიცხადით უნდა წარმოადგინონ ის დასაბუთება, რომელსაც ეფუძნება მათ მიერ გამოტანილი განაჩენი (იხ. *Hadjianastassiou v. Greece*, no. 12945/87, 16 December 1992, § 33, Series A no. 252). დასაბუთებული განაჩენები ასევე ემსახურებიან მხარეებისთვის იმის დემონსტრირებას, რომ მათ უსმენენ, რაც მათი მხრიდან განაჩენის მიღების მზაობას უწყობს ხელს. გარდა ამისა, ისინი ავალდებულებენ მოსამართლეებს დააფუძნონ თავიანთი მსჯელობა ობიექტურ არგუმენტებზე და ასევე დაიცვან დაცვის უფლებები. მიუხედავად ამისა, დასაბუთების ვალდებულების ხარისხი იცვლება განაჩენის ხასიათის მიხედვით და დამოკიდებულია საქმის გარემოებებზე (იხ. ზემოხსენებული *რუის ტორიჯა*, პარაგრაფი 29). მაშინ, როდესაც სასამართლოებს ყოველ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემა არ ევალებათ (იხ. *კან დე ჰურკი ნიდერლანდების წინააღმდეგ*, 19 April 1994, § 61, Series A no. 288), განაჩენიდან

უნდა იყოს ცხადი, რომ საქმის ყველა არსებით საკითხს პასუხი გაეცა (იხ. *ბოლდეა რუმინეთის წინააღმდეგ*, no. 19997/02, § 30, ECHR 2007-II).

92. იმ შემთხვევაში, როცა სასამართლოები თავის მოვალეობას სამოქალაქო მსაჯულებთან ერთად ახორციელებენ, ნებისმიერი სახის განსაკუთრებული პროცედურების ადაპტაცია უნდა მოხდეს, მითუმეტეს მაშინ, როცა მსაჯულებს არ მოეთხოვებათ, ან არ ეძლევათ უფლება წარმოადგინონ საკუთარი განაჩენის დასაბუთება (იხ. ზემოთ პარაგრაფები 85-89). ასეთ შემთხვევაში, მე-6 მუხლი იმის შესწავლასაც მოითხოვს, თუ რამდენად საკმარისი გარანტიები არსებობს თვითნებობის რისკის თავიდან ასაცილებლად და მიეცემა თუ არა ბრალდებულს განაჩენის დასაბუთების გაგების შესაძლებლობა (იხ. ზემოთ პარ. 90). ამგვარ პროცედურულ გარანტიებს შესაძლოა წარმოადგენდნენ, მაგალითად, თავმჯდომარე მოსამართლის მიერ მსაჯულთათვის სამართლებრივ საკითხებთან ან მტკიცებულებებთან დაკავშირებით მიცემული ახსნა-განმარტებები ან მითითებები (იხ. ზემოთ პარაგრაფი 43), მოსამართლის მიერ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინაშე დასმული ზუსტი, ცალსახა კითხვები, რომლებიც ჩამოაყალიბებენ მსაჯულების მიერ გამოტანილი განაჩენის დასაბუთების ჩარჩოებს და შესაბამისად, საკმარისად დააბალანსებენ იმ ფაქტს, რომ ნაფიც მსაჯულთა პასუხები არ იქნება დასაბუთებული (იხ. პაპონი). და ბოლოს, გასათვალისწინებელია ბრალდებულის მიერ გამოტანილი განაჩენის გასაჩივრების ყველა შესაძლებლობა.

2. მოცემულ საქმეზე ზემოთ მითითებული პრინციპების გამოყენება

93. უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ საქმეში, სასამართლოს წინაშე წარმოდგენილ მოსაზრებებში, მომჩივანმა გაასაჩივრა ის ფაქტი, რომ მის საქმეზე გამოტანილი გამამტყუნებელ განაჩენი არ იყო დასაბუთებული და რომ ის არ ექვემდებარებოდა გასაჩივრებას. როგორც უკვე აღინიშნა (იხ. ზემოთ პარაგრაფი 87), მსაჯულების მიერ გამოტანილი დაუსაბუთებელი ვერდიქტი თავისთავად არ არღვევს ბრალდებულის სამართლიანი სასამართლოს უფლებას. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნასთან შესაბამისობა ფასდება შესაბამისი სამართლებრივი სისტემის კონტექსტში სამართალწარმოების მთლიანობაში გაანალიზებისას, დასაბუთებას მოკლებული ვერდიქტის განხილვისას სასამართლოს ამოცანაა, საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით, განსაზღვროს, რამდენად შესწევს სამართალწარმოებას უნარი წინ აღუდგეს თვითნებობას და მისცეს ბრალდებულს საშუალება გაიგოს, თუ რატომ ცნეს დამნაშავედ. ამასთან, უნდა იყოს გათვალისწინებული, რომ, ყველაზე მკაცრი სასჯელების პირობებში, სამართლიანი სასამართლოს უფლების პატივისცემა დემოკრატიული საზოგადოებრიობის მხრიდან უნდა იყოს მაქსიმალურად უზრუნველყოფილი (იხ. *სალდუზი თურქეთის წინააღმდეგ* ([GC], no. 36391/02, § 54, ECHR 2008-...).
94. მოცემულ საქმეში, მომჩივანს ბრალი დაედო სახელმწიფო მინისტრის მკვლელობასა და ამ უკანასკნელის თანამგზავრის მკვლელობის მცდელობაში. თუმცა, არც საბრალდებო დასკვნა, არც მსაჯულთათვის დასმული კითხვები,

არ შეიცავდნენ საკმარის ინფორმაციას ბრალდებულის მკვლელობაში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

95. პირველ რიგში, რაც შეეხება მთავარი პროკურორის მიერ შედგენილ საბრალდებო დასკვნას - სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ამ დასკვნამ უნდა მოიცვას დანაშაულის ბუნება, რომელიც ბრალდებას დაედო საფუძვლად და სხვა ნებისმიერი გარემოება, რომელსაც შეუძლია დაამძიმოს ან შეამსუბუქოს სასჯელი და ეს უნდა იქნეს წაკითხული სასამართლო სხდომის დაწყებისთანავე (იხ. ზემოთ პარაგრაფი 26). მართალია, ბრალდებულს შეუძლია საბრალდებო დასკვნის წინააღმდეგ საჩივრის შეტანა, მაგრამ სინამდვილეში, ამ საჩივარს მეტად შეზღუდული შედეგი შეიძლება მოჰყვეს, ვინაიდან მისი შეტანა ხდება უშუალოდ იმ სასამართლო პროცესის დაწყებამდე, რომელიც მსაჯულთათვის საკუთარი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველს წარმოადგენს. მსგავსი განცხადების მნიშვნელობა გასამართლებული ბრალდებულისათვის იმის გასაგებად, თუ რატომ გამოუტანა მას ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი, შესაბამისად შეზღუდულია. მოცემულ საქმეში, 2003 წლის 12 აგვისტოს გამამტყუნებელი განაჩენის ანალიზი აჩვენებს, რომ ის შეიცავს პოლიციისა და სასამართლოს საგამოძიებო მოქმედებათა დეტალურ ნუსხას და თანაბრალდებულების მიერ გაკეთებულ მრავალ ურთიერთგამომრიცხავ განცხადებას. მართალია, ის შეიცავს ჩამონათვალს ყველა იმ დანაშაულისა, რომელიც მომჩივანს ბრალად წაეყენა, მაგრამ ის არ აზუსტებს იმ მტკიცებულებებს, რომელთა გამოყენებაც ბრალდებას მომჩივანის წინააღმდეგ შეეძლო.
96. გარდა ამისა, იმისათვის, რომ მსაჯულებს გამოეტანათ ვერდიქტი, მათ სასამართლოს თავმჯდომარის მიერ დასმულ 32 შეკითვაზე უნდა გაეცათ პასუხი. მომჩივანს, რომელიც სასამართლოს წინაშე შვიდ თანაბრალდებულთან ერთად წარსდგა, ეხებოდა მხოლოდ ოთხი კითხვა და თითოეულ მათგანს ნაფიცმა მსაჯულებმა დადებითი პასუხი გასცეს (იხ. ზემოთ პარაგრაფი 15). კითხვები, რომლებიც დაისვა, იყო მოკლე და იდენტური ყველა თანაბრალდებულისათვის; ისინი არ შეიცავდნენ მითითებას რომელიმე კონკრეტულ გარემოებაზე, რომელიც მომჩივანს საშუალებას მისცემდა, გაეგო, თუ რატომ სცნეს იგი დამნაშავედ. ამ თვალსაზრისით, წარმოდგენილი საქმე განსხვავდება *ჰაჰონის* (იხ. ზემოთ) საქმისგან, სადაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლო დაეყრდნო მსაჯულთა მიერ 768 კითხვაზე გაცემულ თითოეულ, ასევე გამოიყენა დადგენილი ფაქტების აღწერა და სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლები (იხ. ზემოთ 86 პარაგრაფი).
97. აქედან გამომდინარე, საბრალდებო დასკვნასთან ერთობლიობაში, მოცემულ საქმეში დასმულმა კითხვებმა შეუძლებელი გახადა მომჩივანისთვის იმის გარკვევა, თუ რომელმა მტკიცებულებებმა და ფაქტობრივმა გარემოებებმა განაპირობეს მსაჯულების მიერ დასმულ ოთხ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემა. ამგვარად, მომჩივანმა მაგალითად, მკაფიოდ ვერ განასხვავა თანაბრალდებულები და მათი მონაწილეობა ჩადენილ დანაშაულში; ვერ გაარკვია ნაფიცი მსაჯულების დამოკიდებულება მის სხვა ბრალდებულებთან მიმართებაში; ვერ გაიგო, თუ რატომ იყო დანაშაული კლასიფიცირებული

როგორც განზრახ (*assassinat*) მკვლელობა და არა როგორც მკვლელობა (*meurtre*); რომელ ფაქტორებზე დაყრდნობით დაასკვნა ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ, რომ ორი თანაბრალდებულის მიერ განხორციელებული ქმედებები იყო შეზღუდული და მათ მიესაჯათ ნაკლებად მკაცრი სასჯელი; ან თუნდაც იმის გარკვევა, თუ რატომ ჩაითვალა მის საქმეში ჩადენილი დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებად ა.ს.-ის თანამშრომლის მკვლელობის მცდელობა. ეს ხარვეზი მით უფრო პრობლემატური იყო, რადგან საქმე ფაქტობრივად და იურიდიულად იყო რთული, სასამართლო პროცესი ორი თვის მანძილზე, 2003 წლის 17 ოქტომბრიდან 2004 წლის 7 იანვრამდე მიმდინარეობდა, რომლის განმავლობაშიც ბევრმა მოწმემ და ექსპერტმა მისცა ჩვენება.

98. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ნაფიც მსაჯულთათვის მკაფიო კითხვების დასმა წარმოადგენდა აუცილებელ წინაპირობას იმისა, რომ მომჩივანს გაეგო მის წინააღმდეგ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველი. გარდა ამისა, ვინაიდან საქმე ეხებოდა რამოდენიმე ბრალდებულს, კითხვები შეძლებისდაგვარად უნდა ყოფილიყო განკუთვნილი ყოველივე მათგანისთვის ინდივიდუალურად.
99. და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ბელგიური სისტემა არ ითვალისწინებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენების გასაჩივრების შესაძლებლობას. საჩივარი საკასაციო სასამართლოში ეხება მხოლოდ სამართლის საკითხებს და შესაბამისად არ უზრუნველყოფს ბრალდებულს მის მიმართ გამოტანილი განაჩენის დასაბუთებით. რაც შეეხება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 352-ე მუხლს, რომელიც ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როცა მსაჯულებმა დაუშვეს არსებითი ხასიათის შეცდომა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის განხილვა და საქმე გადადოს შემდგომი სხდომისთვის, რომელშიც მონაწილეობას ნაფიცი მსაჯულების ახალი შეამდგენლობა მიიღებს, ხელისუფლების მიერ აღიარებულ იქნა ის ფაქტი, რომ ამ ნორმის გამოყენება მეტად იშვიათად ხდება (იხ. ზემოთ პარაგრაფი 31).
100. დასკვნის სახით, მომჩივანი არ უზრუნველყვეს საკმარისი გარანტიებით, რაც მას საშუალებას მისცემდა გაეგო მის წინააღმდეგ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი. შესაბამისად, ვინაიდან სამართალწარმოება წარიმართა არასამართლიანად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილის დარღვევას.

III. კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის (დ) პარაგრაფის ნაგულვეტი დარღვევა

101. მომჩივანმა გამოთქვა უკმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ სამართალწარმოების არც ერთ საფეხურზე არ მიეცა საშუალება დაეკითხა ანონიმი მოწმე. ის ამტკიცებდა, რომ ამით დაირღვა მე-6 მუხლის, მე-3 ნაწილის (დ) პარაგრაფი, რომელიც ადგენს:

„3. ყოველ პირს, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს, სულ მცირე, შემდეგი უფლებები: ...

(დ) დაკითხოს ან დააკითხვინოს ბრალდების მოწმეები და გამოამახვილოს და დააკითხვინოს დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეთა თანაბარ პირობებში ...“

102. სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს საჩივარი მჭიდროდაა დაკავშირებული იმ ფაქტებთან, რომლებმაც გამოაშკარავეს მე-6 მუხლის, 1-ლი ნაწილის დარღვევა. განაჩენის დაუსაბუთებლობის პირობებში, შეუძლებელია დადგინდეს, ეფუძნებოდა თუ არა ანონიმი მოწმის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას მომჩივანისთვის გამოტანილი განაჩენი. მსგავსი გარემოებების გათვალისწინებით სასამართლოს მიაჩნია, რომ კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის (დ) პარაგრაფის დარღვევის თაობაზე საჩივრის ცალკე განხილვა აუცილებლობას არ წარმოადგენს.

IV. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

103. კონვენციის 41-ე მუხლის შესაბამისად,

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის და მისი ოქმების დარღვევას, ხოლო მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდა სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს კუთვნილ სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

ა. ზიანი

104. მომჩივანმა პალატის წინაშე მორალური ზიანის ანაზღაურების სახით 100 000 (EUR) ევრო მოითხოვა.
105. მთავრობამ 2009 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილების ფარგლებში მორალურ ზიანთან დაკავშირებით, ანაზღაურების თანხა 4,000 ევრო (EUR) „საკმარისად გონივრულად“ ჩათვალა.
106. დიდმა პალატამ, სამართლიანობის საფუძველზე გაკეთებული შეფასების თანახმად, მომჩივანისთვის მორალური ზიანის ანაზღაურების სახით 4 000 ევროს გადახდის გადაწყვეტილება გამოიტანა.
107. გარდა ამისა, სასამართლო აღნიშნავს, რომ 2007 წლის 1 აპრილის კანონით შეტანილია შესწორება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რაც საშუალებას აძლევს მომჩივანს განაახლოს მისი სასამართლო განხილვა იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მის საქმესთან დაკავშირებით დარღვევას დაადგენს (იხ. ზემოთ პარაგრაფები 38 და, *mutatis mutandis*, ოჯალანი თურქეთის წინააღმდეგ ([GC], no. 46221/99, ECHR 2005 IV).

ბ. სასამართლო ხარჯები

108. რაც შეეხება ხარჯებს, სასამართლო აღნიშნავს, რომ პალატამ გადაწყვიტა მომჩივანს 8,173.22 ევრო (EUR) მიაკუთვნოს თანხა, რომელიც მთავრობას სადავოდ არ გაუხდია. რაც შეეხება დიდ პალატაში საქმის წარმოებას, მომჩივანმა ევროპის საბჭოსგან სამართლებრივი დახმარების სახით 1,755.20

ევრო (EUR) მიიღო. შესაბამისად, სასამართლო ადასტურებს პალატის მიერ მიკუთვნებულ თანხას 8,173.22 ევროს (EUR) ოდენობით.

გ. საურავი

109. სასამართლოს მიაჩნია, რომ საურავის ოდენობა უნდა დადგინდეს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის მიხედვით, რასაც დაემატება სამი პროცენტი.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლომ ერთხმად

1. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილის დარღვევას;
2. ადგენს, რომ ანონიმი მოწმის დაკითხვის შეუძლებლობის საკითხი არ საჭიროებს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილის (დ) პარაგრაფის შესაბამისად ცალკე განხილვას;

3. ადგენს

(ა) რომ მოპასუხე სახელმწიფომ, მომჩივანს კონვენციის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, განჩინების ძალაში შესვლის დღიდან სამი თვის განმავლობაში, გადახდის დღეს არსებული კურსით, ეროვნულ ვალუტაში უნდა გადაუხადოს:

- (i) (EUR) 4,000 (ოთხი ათასი ევრო), მორალური ზიანის ანაზღაურების სახით და ნებისმიერ გადასახადი, რომელიც ამ თანხასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული;
- (ii) (EUR) 8,173.22 (რვა ათას ას სამოცდაცამეტი ევრო და ოცდაორი ცენტი), ხარჯების ანაზღაურებს მიზნით და ნებისმიერი გადასახადი, რომელიც ამ თანხასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული;

(ბ) ზემოხსენებული სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, თანხის სრულ გადარიცხვამდე, გადასახდელ თანხას საჯარიმო პერიოდის განმავლობაში დაერიცხება გადახდის დღეს მოქმედი, ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრულისასესხო განაკვეთის თანაბარი ჩვეულებრივი პროცენტები, რასაც დაემატება სამი პროცენტი.

4. უარყოფს მომჩივანის დანარჩენ მოთხოვნებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე და მხარეებს ეცნობათ 2010 წლის 16 ნოემბერს ზეპირი სხდომის დროს ადამიანის უფლებათა შენობაში, სტრასბურგში.

მაიკლ ობოილი

სასამართლო განმწესრიგებელის

მოადგილე

ჟან-პოლ კოსტა

პრეზიდენტი

კონვენციის 45-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და სასამართლოს რეგლამენტის 74-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, წინამდებარე გადაწყვეტილებას თან ერთვის მოსამართლე ჯეებენის თანმხვედრი აზრი.

J.-P.C.

M.O'B.

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2012

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ოფიციალური ენებია ინგლისური და ფრანგული. წინამდებარე თარგმანი გაკეთდა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების ნდობის ფონდის მხარდაჭერით (www.coe.int/humanrightstrustfund). თარგმანი სასამართლოსთვის სავალდებულო იურიდიული ძალის მქონე არაა და სასამართლო მის ხარისხზე პასუხს არ აგებს. თარგმანის ჩამოტვირთვა შესაძლებელია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მონაცემთა ბაზიდან (<http://hudoc.echr.coe.int>), ან ნებისმიერი სხვა მონაცემთა ბაზიდან, რომელსაც სასამართლომ წინამდებარე თარგმანი გადასცა. თარგმანის გამოყენება არაკომერციული მიზნებისთვის ნებადართულია იმ პირობით, რომ მოხდება საქმის სრული დასახელების ციტირება, ზემოთ მოცემული საავტორო უფლებებისა და ადამიანის უფლებების ნდობის ფონდის შესახებ შენიშვნის მითითებით. წინამდებარე თარგმანის, ან მისი ნაწილის, კომერციული მიზნებით გამოყენების სურვილის შემთხვევაში, გთხოვთ, მიმართოთ publishing@echr.coe.int.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2012

The official languages of the European Court of Human Rights are English and French. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court, nor does the Court take any responsibility for the quality thereof. It may be downloaded from the HUDOC case-law database of the European Court of Human Rights (<http://hudoc.echr.coe.int>) or from any other database with which the Court has shared it. It may be reproduced for non-commercial purposes on condition that the full title of the case is cited, together with the above copyright indication and reference to the Human Rights Trust Fund. If it is intended to use any part of this translation for commercial purposes, please contact publishing@echr.coe.int.

© Conseil de l'Europe/Cour européenne des droits de l'homme, 2012

Les langues officielles de la Cour européenne des droits de l'homme sont le français et l'anglais. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour, et celle-ci décline toute responsabilité quant à sa qualité. Elle peut être téléchargée à partir de HUDOC, la base de jurisprudence de la Cour européenne des droits de l'homme (<http://hudoc.echr.coe.int>), ou de toute autre base de données à laquelle HUDOC l'a communiquée. Elle peut être reproduite à des fins non commerciales, sous réserve que le titre de l'affaire soit cité en entier et s'accompagne de l'indication de copyright ci-dessus ainsi que de la référence au Fonds fiduciaire pour les droits de l'homme. Toute personne souhaitant se servir de tout ou partie de la présente traduction à des fins commerciales est invitée à le signaler à l'adresse suivante : publishing@echr.coe.int.